



კავკასიელ ადამიანთა  
კულტურული ორგანო

N 2

Organe Culturel de  
Caucasiens humanitaires

„ადამიანთა“ მე N 2 სამშობლოსათვის დაპირით ჩვენგან ჭრილობის შესახებ.

ადამიანთა

ს ი კ ვ დ ი ლ თ ა ნ

— ღამეა შვილო.. შუალამეა...  
ეუბნებდა დედა შვილს  
გაუბედავად.. შვილმა გაალო კა  
რი.. სასაფლავსკენ გაუძღვა დე  
დას.

დედა და შვილი საფლავთან  
მივიდნენ.. ბარ-ნიჩაბი დადეს თუ არა,  
დედა დაემხო მიწას და ჩასძახა.

— მე-ედი-ი-ი...  
— სია-ამა-ა-ა...

მოესმა სიღრმიდან პასუხად.  
სიამას თითქოდენ დაეარდნი  
ლი გული ბარით უნდა აეღო, ისე ეძ  
გერა ბარ-ნიჩაბს.. გალომებული თხრა  
და მიწის გადაცილება დაიწყო..

ბავშვის დედას ეშველებოდა.  
„მიშველეთ, მიშველეთ“, ამ  
ბოძდა მიწის ქვეშ ტანჯვა ადამიანის.  
ამ დროს სიამა მოულოდნე  
ლად შექრთა, ეგონა ხელი წამოიღეს  
მის დასაჭერად.. ეგონა ქმარი მიწის  
ქვეშ დარჩებოდა და უნდოდა დაე

ყვირა, რომ შვილის ხმამ გამოაფხი  
ზლა.. ლანდი სინამდვილისაგან გა  
არჩია თავისი თავის და ისევ ისე გა  
ლომებული განაგრძო თხრა, მიწის  
გადაცილება.

მალე კუბოს ფიაროც გა  
ინძრა..

მედი წამოდგა.. სოლ-შვილს  
გადაეხვია და ხელიხელო ჩაკიდებული  
სახლში დაბრუნდა.

— ჩემი თვალთ რომ არ და  
მენახა არც მე დავიჯერებდი.. ნა  
მდვილად დაბრუნებულა..

ეუბნებდა გლეხი გლეხს დი  
ლა-ადრიან.

— მეც ვნახე.. არაფერი არ  
შესცვლია.. ტანიც, სახეც ისევ ისე  
აქვს.. მხოლოდ ახლა უფრო ნაღვ  
ლიანია..

— რაღაც უნდა მოხდეს...  
ამბობდნენ მეორე ადგილას  
და ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტი განსდა სო  
ფლის წიაღში ერთსა-და-იმევე დროს

ერთსა-და-იმავე საგანზე ბრუნავდა, ტალღდებოდა და იმავე სოფლის ნაპირებს ეხეთქებოდა.

ისედაც გაღვივებული სოფელი სხვა რალაც იდუმალ ძალასაც გამოეღვივებინა..

მხოლოდ ეს გამოღვივება იყო ძლიერი და სტიქიური, რომელიც არ შეეძლო გამოეწვია არც ადამიანის უბედურებით აჩუქნილ განგაშს, არც ციხე მოვლინებულ რისხვას..

არა, ის უფრო ძლიერი იყო.. უფრო შემბოჰველი ადამიანის გულითა და ცნობიერებისა..

ის იყო ქვესკნელის, საიქილოდან მოსვლის ამბავი.

საიქილოდან ვილაც მოსულიყო და ეს ცნობა მიწისძვრასავით ედებოდა სოფელს.

აგერ, საშინელ ცნობით შებოჰვილი ხალხი: ერთი იმას ამბობს, რასაც მეორე ფიქრობს.. მეორე იმას ამბობს, რასაც მესამე ფიქრობს და ასე მთელი სოფელი ერთ ფიქრზე მოიცვა.

ჰმმ.. მარტო ერთ ფიქრზე?

არა, ისინი მოძრაობითაც ერთიანდებოდნენ!

თითქმედნე ცაში წყლის წვეთები გროვდებიან, ისე თითო-თითოდ ხალხი თავისთავად მოგროვდა.. ხალხმა ტიტველი ადგილი ღრუბელსავით დაფარა.

საფლავიდან ამოსული მედიდის ლოცვას იხდიდა, რომ მის გულის სიზმარმა სიამამ აცნობა: „ხალხს თავი მოუყრია და ჩვენ-კი არაფერი გვითხრესო“.

მედომ იგრძნო, რომ ხალხის ყრილობა მის დაბრუნების თაობაზე იქნებოდა.

ადგა და თვითონაც უთქმელად იქით მიაშურა.

„მივალ, მანამ ეშმაკი აუძლევს“ დაამშვიდა სიამამ.

მედის შიში უსაფუძვლოდ არ იყო: ხალხს შეეძლო მანეს სულად მი

ეღო და უხმარი ბარით გასწორებოდა.

მართლაც ხალხის ყრილობა ამ დროს სწორედ ამ რწმენას აღვიძებდა.. ხალხი იგონებდა თუ როგორ მოქცევა მამა-პაპა ასეთ შემთხვევას წარსულში..

წარსულთან ლაპარაკი ხალხს მოკლედ ეუბნებოდა: „უხმარი ბარით მოკვეთე თავი და მკვდარი აღარ ადგებაო“.

მაგრამ როდის?

როდის ღვებოდა მკვდარი?

აი რას კითხულობდა ამავე დროს ხალხი.

ხალხმა წარსულით ისიც ისტოდა-რომ ღვება ბოროტი მკვდარი, რომელსაც ცოდვები არ ასვენებენ..

და მედი რომ ბოროტი არ იყო?

მედის რომ ცოდო არ ედო?

მედის უმანკო და შეუბღალავი წარსული ხალხს არ დავიწყებოდა...

პირიქით, ამ წუთში უფრო გაუცხოვლდა მთელი მისი თავგანწირვით აღსავსე ცხოვრება.

ეს სიკეთე ადამიანის წინ გადასდგომოდა ყრილობას და უშლიდა და გადაწყვეტილების გამოტანას.

— ხალხო, — ხმა იყო ყრილობიდან, — ჩვენი მამა-პაპა ასეთ დროს არ მოსწრებია, ასეთ დიდ ტანჯვაში არასოდეს არ ყოფილა.. გაგიგონით ათ ადამიანს როდისმე თავისი არცხელი და არც ფეხი არ ჰქონდეს, არ ჰქონდეს თავისი არც გული, არც ფიქრი და სიტყვა ისე, როგორც ჩვენ არა გვაქვს?

— არა. არ გაგონილა.

— გაგიგონიათ ადამიანს ყველაფერი ისე მწარედ სჩვენდეს, როგორც ჩვენ გვტყვი?

— არა..

— მაშ მამა-პაპას რალად სთხოვთ წამალს, როცა ასეთი ტკივი

ლები მას არ ჰქონია, ასეთ ტანჯვაში ის არ ყოფილა..

რალად სთავთ ფიქრს, აზრს იმის შესახებ, რაც ჩვენ გვმართებს, ჩვენ გვემართება?

ჩვენ გაჭირვებაში ღმერთი ხსნას გვიგზავნის და არა ბოროტს..

ბოროტმა რალა-და მოუმატოს, როცა ისედაც ბოროტება..

ბოროტმა რალა-და წავართვას, როცა აღარაფერი არა გავქვს..

სიმართლით შებოჭვილი ხალხი არ ინძრეოდა.

— ხალხო, — დასძინა დასასრულს, — იქნებ ღმერთმა ხსნად მოგვივლინა..

— იქნებ.. იქნებ..

ყრუდ გამოსსა გამოძახილი ყრილობამ.

იქნებ ღმერთმა ხსნად მოგვივლინა..

იდუმალ აღკინებით იმეორებდა ქადაგი, რომ მოულოდნელად ითქვა: „მედიც აქ მოდის“..

მოწყვეტილ ისარისავით ხალხის ყურადღება ქადაგიდგან მედი საკენ წავიდა..

მედი მართლა მოდიოდა..

უნებურ მოძრაობაში მოსული და მათსავით განდიდებული ხალხი წამოდგა, მედი არაჩვეულებრივად მიიღო.

მედი არ იყო მედიდური..

მისი უბრალო ქსევა, გაუტეხელი ბუნება აზრით, არსებით ბოროტთან ბრძოლას ეწირებოდა..

ამიტომ არამც თუ მისი სახე, არამედ მისი მოძრაობაც, ტანიც მუდამ დაღვრემილი იყო.

მისი სახით უფრო სევდა, ფიქრი დადიოდა ადამიანის და არა ადამიანი

ეს ჩვეულებრივად, მაგრამ დღეს ხომ არაჩვეულებრივიდღე იყო.

დღეს ხომ ახალი ხანა დგებოდა და ხალხისა და მის ცხოვრებისათვის?

აი ყვილაფერი ეს — არც ხალხის და არც თავის არაჩვეულებრიობა მედიმ არ შეიმჩნია, მოვიდა და მიჩნეულ ადგილას ჩვეულებრივად დაჯდა..

სიწყნარე ჩამოვარდა.. ყვავილების ფშვინაც კი ისმოდა..

— ხალხო, — უმალ დაიწყა მედიმ შეგუბებულ სულის მოსატყეველად, — აგერ ეს, ის საფლაგზე გამოწყვა.. აგერ ესა და ეს დამარხვას არ დასწრებია და ესა და ესაც დაკრძალვას უკან რომ მოსდევდა ამას ამბობდა..

ხალხი გაშრა და დარჩა: ყველაფერი მართალი იყო..

ხალხს მკვდრად ყოფილ კაცს ელაპარაკებოდა.. ელაპარაკებოდა, ისეთ კაცს, რომელთანაც კაცობრიობას არასოდეს არ ულაპაუჯია..

ეს გარემოება ბუნებრივად უასკეცებდა ცნობის მოყვარობას იმისადმი, რის შესახებაც კაცობრიობამ არაფერი არ იცოდა..

ეს არის საიქაოს ამბავი.

ხალხს შეეძლო საიქაო ცხოვრება უკვე ნამდვილად გაეგო მკვდარ ყოფილ მედისაგან.

— მე თქვენ საიქაოს ყოფილი გგონივართ, — განაგრძო მედიმ.

— არა, საიქაოს ნუ ვეტყვი ამას.. მე მკვდრად — ყოფილი ვარ.

რა თქმა უნდა საიქაოს ყოფნასა და მკვდრად ყოფნას თქვენ ერთი მეორისაგან ვერ არჩევთ..

ეს ორი სხვა და სხვა ადგილია იმ ქვეყანაში, რომელთაც თქვენ თვალთ ვერ ხედავთ.

ამ ქვეყნის მცხოვრებს არ შეუძლია დაინახოს იმ ქვეყანას რა და რა ადგილია, რა და რა ცხოვრება არის.

სიკვდილიცა და საიქაოც თავის ჯოჯოხეთ-სამოთხით იმ ქვეყნისა, მხოლოდ არა ერთ-და-იმავე ადგილას და არც ერთი-და-იგივეა.

მე ვიყავ ერთ-ერთ მათგან  
თან მე ვიყავ მხოლოდ სიკვდილთან.  
სიკვდილი როგორია?

სიკვდილი როგორ ექცევა  
ადამიანს?

აი რის შესახებ მე შემიძლია  
გითხრათ ნამდვილად.

ხალხსაც რატომღაც სიკვდი  
ლის ეშინოდა და არა საიქიოსი.

ხალხსაც ის უნდოდა, რაც  
მედიმ იცოდა.

— სულ შვიდი დღე ვიყავ  
სიკვდილთან: ორშაბათს მოვკვდი  
და ორშაბათსვე დავბრუნდი უკან.

ორშაბათის ორჯერ ხსენებამ  
ურუნტელად დაიარა ხალხში..

ორშაბათი ქართველ ადამია  
ნისათვის მძიმე დღედ ითვლებოდა  
და დღევანდელი დღეც თითქმის მა  
თგანს ამას აგონებდა.

„სჩანს ორშაბათს სასწაული  
კიდევ მომხდარა, ხალხი მძიმე გაჭივ  
რებაში კიდევ ყოფილა და დღეს ორ  
შაბათი, გაჭივრება და სასწაულიც  
თავის თავს გვაგონებსო“, ფიქრობ  
და გულში ყრილობა.

— სამი დღე აქ ვიდევო, ოთხი  
დღეც საფლავში..

ეს მე ისე ვიცი, როგორც  
თქვენ..

ადამიანი რომ კვდება არც  
იკარგება და აოც კარგავს არაფერს..

ადამიანი იცვლება მხოლოდ.  
როცა ვამბობთ: „მიიცვა  
ლაო“—ეს სავესებით შეეფერება მკვ  
დრის მდგომარეობას.

მე მოვკვდი და ბუნებრივად  
მეც ყველაფერი შემეცვალა.

მეც მკვდრად ყოფილმა ისე  
ვიცი მიცვალებული, როგორც თი  
თეულ თქვენგანმა ცოცხალი ადამი  
ანი..

და ვის შეუძლია ადამიანის  
მხედველობაზე ილაპარაკოს, ადამია  
ნის აზრი და ფიქრი იცოდეს, იცო  
დეს ადამიანის სული დასხეული თუ  
არა ადამიანმა?

ადამიანს ყველაზე უკეთ ადა  
მიანივე იცნობს და არა ცხოველი,  
მცენარე..:

ასეც მიცვალებულის ცხოვ  
რება, ფიქრი და აზრია.

მიცვალებულსაც ყველაზე  
უკეთ მიცვალებულივე იცნობს და  
არა ცოცხალი.

შენ თვალით ხედავ შენ თავს  
ადამიანი როგორ იცვლება: გეცვ  
ლება მხედველობა. ხედავ ისეთ რა  
მეებს, რასაც ცოცხალ ადამიანის  
თვალი ვერასოდეს ვერ დაინახავს.

გეცვლება ხმა.. ხმა გაქვს  
მიცვალებულსაც.. ყველას ელაპარა  
კები, მხოლოდ ეს ხმა ცოცხლებს  
არ ეს მით..

გეცვლება მოძრაობა.. იქაც  
მოძრაობ და უფრო სწრაფადაც.. ისე  
სწრაფად რომ ფრინველის მოძრაობა  
მასთან არაფერია..

იმ ქვეყნის მოძრაობა ისეთი  
მალა როგორც სინათლის უკუფენა.

ეცვლება მიცვალებულს აზ  
რი და ფიქრიც.. ეცვლება საერთოდ  
ყველაფერი.

მაგრამ შეიძლება შეეცვა  
ლოს?

სარწმუნოა თუ არა ყოველი  
ვე ის, რასაც მე ვამბობ?

სარწმუნოა და ერთობ სარ  
წმუნოც..

მაგალითად, ადამიანს მხედ  
ველობა შეიძლება სიცოცხლეშივე  
შეუცვალთ: კაცს რომ სათვალეები  
გაუკეთოთ ბევრ რამეს ან ველარ და  
ინახავს, ან ისე ველარ დაინახავს..

მეტეც, ადამიანი ჭოგრით  
ცის ჭვრეტას რომ მისცეთ, ვარსკვ  
ლავების სიმრავლით გაოცდება.

ასევე მადიდებელში ჩანდება  
უამრავ ქვეყნებს გამოალვიძებს, რო  
მლებსაც უბრალო თვალი ვერ ხე  
დავს.

ეს ჩვენ მიერ სიცოცხლეში..

დმერთი კი სიკვდილით სცე  
ლის, რომ სიხარულიცა და სიმწა-

რეს ათითასჯერ მეტად იგრძნოს ადამიანმა.

ამტომ მიცვალებული ათი ათასჯერ მეტს ხედავს, მეტი იცის ცოცხალზე.

მხოლოდ რას ხედავს?

რა იცის მიცვალებულმა?

აი რა არის მთავარი.

მიცვალებულს მხედველობა უფართოვდება. იმასაც ხედავს რა საც ჩვენ და იმასაც რაც ჩვენ ვერ დაგვიჩანია, მიუხედავად იმისა, რომ თვალეზი დახურული აქვს.

საკვირველია ცოცხალი ადა მიანი მიცვალებულისათვის არა მარტო მხედველობით, არამედ წარმოდგენითაც:

ადამიანს ჰგონია, რომ მხედველობა მას აქვს და ხეებს, ყვავილებს, ბალახებს. კი არა..

იგი ამით მედიდურობს. კი დეც იმათ წინაშე და მათ ე. ი. ბებებს ბალახებს და სხვებს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით.

მიცვალებული ამას, ყველა ფერს ხედავს, ესმის. რომ ხეები ადა მიანებს დასინიან, უფრო ზშირად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ზოგჯერ ზოგი ადამიანი ეზიზღებად და აერიდებოდენ კიდეც ფეხის გადადგმა რომ შესძლებოდათ.

ყველაფერი ეს ადამიანებისათვის უცხოა, შეუმჩნეველი ისე, როგორც ათი-ათასი ქია-ლუა სხოვრობს შეუმჩნეველად.

ადამიანებს ხეები, ქვები ცოცხალიც. კი არ ჰგონიათ... მიდიან და მათ ახლოს ათას სისაძაღლეს ჩადიან.

მაგრამ ეს არაფერი.

მთავარია რომ ადამიანს ხის მხედველობა არამც თუ ვერ დაუნახია, არამედ ვერც წარმოუდგინია..

ადამიანმა არ იცის, რომ თავისი თვალი მოძრავ სხეულის საგანგებო, სხეულიდან გამოკრებილი მხედველობაა..

თვალი იგივეა, რომ ადამიანი

მა ერთ ადგილას ღონე მოიკრიბოს მძიმე სხეულის ასაწევად.

ამ შემთხვევაში სხვა ადგილებით ადამიანი ველარ მოქმედობს, თითქოდენ ღონე სულ აღარ ჰქონდეს სხეული ისეთ მდგომარეობაშია.

ღონის გამოკრება სხეულიდან შეიძლება ხელში, ფეხში და სხვაგან.

თვალი იგივეა. რომ ადამიანი მა ყურადღება მოიკრიბოს ერთ საგნისადმი..

ასევე სხეულიდან გამოკრებილია მხედველობა საგანგებო ადგილას..

ეს საგანგებო ადგილი თვალია, რომელიც მუდმივ სამსახურშია ადამიანის.

მოძრავ სხეულს მოკრებილი მხედველობა სჭირია მუდმივად და ამიტომ მას „თვალიც“ მუდამ აქვს თვალი საგანგებო, თორემ ჩვეულებრივად უთვალო ანუ უმხედველო არაფერია.

სხვა პირობებში, კერძოდ ხის პირობებში „თვალიდან“ მხედველობა სხეულს ე. ი. ტანს ადამიანი სას ისევე დაუბრუნდება. როგორც მოკრებილი ღონე დაუბრუნოთ თითულ აღნაგს, თითულ კუნთს.

ხედავთ, რა დიდი ქვეყანა ეფარება თუ ემალება ჩვენ მხედველობას.

ასე რომ ადამიანები ძალიან მცირე ცოდნითა და მხედველობით ვართ დედამიწაზე.

სამაგიეროდ ეს ნაკლი გვცოდნება სიკვდილით.

ადამიანი მიიძვლება თუ არა ამ ნაკლს ჰკარგავს და არა რომელიმე, არამედ საერთოდ ადამიანი.

მიცვალებული მცოდნე და უცოდინარე აღარაა.

თითულ მიცვალებულმა იცის ვინ რას აკეთებს.

ვინ მასზე ავს ან კარგს ამბობს

მიცვალებულმა იცის ვის  
რა მოელის.

მართალია, არის ადამიანიც  
მიცვალებულს ხედავს, ხმაც ესმის,  
მასთან ლაპარაკობს კიდევს...

არის წუთიც ადამიანისა-  
თვის, როცა მიცვალებულის ხმაც  
ესმის, მაგრამ ეს ისე იწვიათია, ისე  
რომ მათზე არა წლებს, არამედ საუ  
კუნეებს. არა ადამიანს, არამედ კა  
სობრიობას თუ შეუძლია ილაპარა-  
კოს.

ასეთი წუთიცა და ადამია-  
ნიც ღვთაებრივი მოვლინებაა ამ ქვე  
ყნისა და იმ ქვეყნის გასაერთიანებ  
ლად ღმერთის სადიდებელ საქმისა  
თვის.

ამით ჩვენ ჯერ არა გვითქვამს  
სიკვდილის შესახებ.

მიცვალებული კი პირველად  
სიკვდილს ხედავს.

ტყუილად არ აცოცხლებს  
ადამიანი სიკვდილს.

სიკვდილი ისევე ცოცხალია,  
როგორც ადამიანი.. მხოლოდ ეს  
არის რომ სიკვდილი იმ ქვეყნადაა და  
მის სიცოცხლეს ადამიანი ვერასო  
დეს ვერ ხედავს.

ეს აქ ამ, ქვეყანაში.

მაგრამ იმ ქვეყნისაკენ პირს  
იბრუნებს თუ არა, ადამიანი-რო  
გორც ვთქვით-პირველად საკვდილი  
უნდა დაინახოს.

სიკვდილი იღებს, სცვლის  
ადამიანს და შეცვლილს ჩვენ უკვე  
მიცვალებულ ვუწოდებთ.

შეცვლის შემდეგ უკვე ადამი  
ანი სიკვდილს ისე ხედავს, როგორც  
თქვენ აქ ადამიანები დაინახოთ.. დაი  
ნახოთ ცხოველი, მცენარე და სხვა.

მიცვალებული ხედავს რომ  
სიკვდილი ადამიანისავით მოძრა  
ვია, ხესავით უძრავიც, ქვასავით მდე  
ბარეს.

მიცვალებული ხედავს რომ  
სიკვდილი ადამიანის სხვაა და ხისა

სხვა.

ადამიანის სიკვდილი რომ  
დადის, ხის სიკვდილი კიდევ ხე  
სავით დგას, უცდის მის სულის  
მიღებას.

მეტეც, ხედავს რომ თითე  
ულ ადამიანს და თითეულ ხესაც  
თავის სიკვდილი ჰყავს.

თითეულ ადამიანს თავის სი  
კვდილი მუდამ თან-დასდევს:

აგერ ადამიანი მგზავრია და  
სიკვდილიც თან მისდევს გზად.

წყალში შევიდა და სიკვდი  
ლიც წყალში ადამიანთან.

მღერის და სიკვდილსაც მის  
გვერდით ელიმება.

ასე ერთის, ასე ორის, ასე ყვე  
ლა ადამიანის.

ცოცხალმა ამის არაფერი არ  
იცის.

უყურებ მიცვალებული ამას  
და ფიქრობ:—ეჰ საწყალო ადამიანო,  
აგერ მოდის სიკვდილი და გითრას  
გათავდა შენი სიცოცხლე დედა-მი  
წაზეაო“.

მომღერალ ადამიანს უცბად  
დაედრიჯება სახე შეკრთება სიკვდი  
ლის დანახვაზე.

სიკვდილი ადამიანთან ყველ  
განაა და იგი შეიძლება ყველგანაც  
მოკვდეს: კარშიც, სახლშიც, გზაშიც  
და წყალშიც. ადამიანი შეიძლება  
მოკვდეს სიმღერისა და მუშაობისას,  
გართობისა და დასვენებისას.

ერთი სიტყვით, ადამიანი  
მოკვდება იქ, სადაც სიკვდილი ეტ  
ყვის: „კმარაო“.

თითეული ადამიანი და ხეც  
თავის სიკვდილით კვდება.

ერთს არ შეუძლია მეორის  
სიკვდილით მოკვდეს არც ხეს, არც  
ადამიანს ისე, როგორც ერთის მა  
გიერ მეორე ვერ დაიბადება ვერც  
ადამიანებისა და ვერც ერთა რიგით.

ალბად თქვენ გაგიკვირდ  
ბათ სხვა რამ, სახელდობრ ის, რომ  
კაცის, ან ხის მოკვდომის შემდეგ  
მათი სიკვდილები სად მიდიან.

თუ თითოეულ კაცს, ხეს თა  
ვისი სიკვდილი ჰყავს, ამ ხეების,  
კაცების მოკვდომის შემდეგ „სიკვ  
დილები“ სად არიან?

მათთან.

სიკვდილი ხესთანაა, სიკვდი  
ლი ხესა სუამს.

სიკვდილიც იბადება და კვ  
დება კიდევ.

აი, მაგალითად, ცეცხლი  
თავის-თავად არაა.

ცეცხლი იბადება და ქრება  
ანუ კვდება კიდევ.

სიკვდილიც, ეს თავისებური  
ცეცხლი ადამიანის, ცეცხლისავით  
იბადება და კვდება

მოკლედ, სიკვდილი თავისე  
ბური ცეცხლია იმ განსხვავებით,  
რომ მას ადამიანის სახეც აქვს, ადა  
მიანისავით ლაპარაკობს, მოძრაობს  
და სხვა.

ცეცხლი ცეცხლია, მაგრამ  
მისი დანახვაც შეიძლება, აღწერაც.

ცეცხლი ვიცი რომ როგორც  
არის და როგორია ადამიანის „ცე  
ცხლი“—სიკვდილი?

სიკვდილი შესახედათ შესა  
ზარია.

არაფერი ისე არ აზინებს და  
ვერც შეაზინებს კაცს, ხეს, ქვას—  
როგორც სიკვდილი.

ჩვენ სხვათა სიკვდილს თავს  
დავანებებთ და ავიღებთ მხოლოდ  
ადამიანის სიკვდილს.

ადამიანის სიკვდილი ადამინ  
სავე აგებულობისაა ე. ი. მას აქვს  
ადამიანსავით თავიც, თვალები, ხე  
ლიც, ფენიც, გულ-მკედრიცა და  
სხვაც.

მხოლოდ ადამიანისაგან მით  
განსხვავდება, რომ მისი ტანი მუდამ  
გაძვალტყავებულია.

მერე, ადამიანზე პირი ორ  
ჯერ დიდი აქვს და ყურიდან ყურამ  
დის კბილები უჩანს. კბილები ბურ  
ღისავით წვერიანი და ატულისავით

პირიანი აქვს მორიგეობით და მოდ  
რაობითაც ხან წვერიან კბილებს ჩა  
მოუშვებს და ხან პირიან კბილებს  
არტყამს ცულისავით ერთი-მე  
რეს.

ხელებიც დიდი აქვს და ფრ  
ხილებიც თითებისოდენა აბია.

თიალები კი ძალიან ღრმად  
აქვს წარსული, საიდანაც რალაც ნა  
პერწკალი გამოკრთის.

ყველაზე საზარელი კი მისი  
თმა წვერ-ულვაშია: ბეწვების მა  
გიერ რკინისავით მაგარი თითების  
სიგრძე ეკლები ასხია და ამ ეკლიან  
ტანს ამოძრავებს. ცხოველისავით  
იბერტყამს.

ფერი ჩვეულებრივად ყინუ  
ლისა აქვს, მხოლოდ ხან და ხან თეთ  
რდება—

ეს როცა ილიმება, როცა  
ადამიანს ატყუებს.

ხან-და-ხან კიდევ წითლდება  
—ეს როცა რისხვად იქცევა, ადამი  
ანსა სუამს.

ამ შემთხვევაში ტანი რკინა  
სავით უცხელდება და ეკლებიც  
ცეცხლის ნათურებისავით უნთია.

სითბოც—ან ცივია გძრავს, ან  
ცხელია გწვამს—სხვა სითბო მან არ  
იცის.

აი ადამიანის სიკვდილი!

ამაზე საზინელი არც გაჩე  
ნილა და არც გაჩნდება არასოდეს.

ჩვენ რა, რაგინდ საზინელიც  
არ უნდა იყოს, თუ რომ ჩვენ არ გვხვ  
დება... თუ რომ ჩვენთან საქმე არ  
აქვს?

მთავარიც ესაა, რომ ჩვენ  
გვხდება და საქმეც სწორედ ჩვენთან  
აქვს.

მართალია კაცთ უთქვამთ:  
„შენ ხარ, სიკვდილი არ არის... სიკვ  
დილი მოვა და შენ აღარ იქნები“.

მაგრამ არა, ეს არ არის მარ  
თალი, რადგან ეს იგივეა-რომ კაცს  
თვალი აუხვიო დახვრეტის წინ.

ეს იგივეა, რომ ხარს თვა  
თვალი აუხვიო ხიდზე გასაყვანად.

რად უხვევენ თვალებს ადა  
მიანს დახრტიას?

იმად რომ ტყვიის გავარდნა  
არ დაინახოს ე. ი. არ დაინახოს ის,  
რისაც ადამიანს ყველაზე- მეტად  
ეშინია.

ეს ადამიანს!

ხარს?

ხარსაც თვალს უხვევენ, რომ  
ხიდი არ დაინახოს ე. ი. არ დაინახოს  
ის, რისაც ეშინია..

ეს კერძოდ..

საერთოდ ადამიანს რისი  
ეშინია?

სიკვდილის.

და აი როცა ბარბაროს რომ-  
მა საბერძნეთში სიკვდილი გაამეფა  
ბერძენთა დასამონებლად, ბერძენი  
ადამიანი თავის მოძმეს აქიმობს სიკ  
ვდილის შიშისაგან.. სიკვდილის ში  
შის მოცილება კი მას შეეძლო თვა  
ლის ახვევით.

მაშასადამე, ბერძენი ადამია  
ნი თავის მოძმეს სიკვდილთან ბრძო  
ლაში ამხნევებდა, ეუბნებოდა: „სი  
კვდილის არ უნდა გეშინოდესო“

რად არ უნდა გეშინოდესო?

იმიტომ რომ სიკვდილი არ  
არისო?

არა, მას არ შეეძლო ეთქვა,  
რომ სიკვდილი არ არისო..

სიკვდილი რომ იყო, ამას  
ყველა ხედავდა.

მაშ რა უნდა ეთქვა?

ის, რაც ადამიანს სიმართ  
ლედ მოეწონებოდა, თუ  
გინდათ, არა სიმართლეს..

ასეთად მან სიკვდილთან  
შეხვედრა აილა..

მან სთქვა: „მართალია სიკვ  
დილი არის, მხოლოდ ჩვენ ვერ ვხვდე  
ბით ამ სიკვდილს..

რად?

რადგან ჩვენ ვართ სიკვდილი  
არ არის.. სიკვდილი მოვა და ჩვენ  
ლარ ვიქნებით“

ეკითხება და პასუხსვე ად  
ლევს ბერძენი ადამიანი.

ამ რიგით ისეთი სიმართლის  
წარმოდგენა იქნება, რომელსაც შეუ  
ძლია ადამიანის თვალის ახვევა.

თქვენ, ქართველებმა ყველა  
ზე უკეთ იცით, რომ არის დრო და  
ადგილი, როცა ადამიანის თვალში  
მთა მთას უერთდება და ხევი კი არ  
მოჩანს..

ადამიანის თვალს ჰგონია,  
რომ მთა მთას იქ და ისე უერთდება-  
როგორცადაც ხედავს.. მთათა გაერ  
თიანების წარმოდგენას სიმართლედ  
იღებს თვალი და მთათა ქვეყნის უცო  
დინარი ადამიანიც.

ხედავთ თვალს ჰქონია თვისე  
ბა არა სინამდვილის სიმართლედ  
წარმოდგენა.. ნამდვილად მთათა შუა  
ხევი და მთიდან მთასთან მისასვლე  
ლად ხევს უნდა შეხვდეს.

მაგრამ თვალს ეს თვისება  
აქვს არა ყოველთვის: საკმარისია  
არა იქ გააჩეროთ, რომ ადამიანმა ხე  
ვი დაინახოს..

მაშ მნიშვნელობა ჰქონია  
არა მარტო თვალის თავისებურო-  
ბას, არამედ გაჩერებასაც.

და აი ბერძენსაც თავის მოძ  
მე ისეთ ადგილას გაუჩერებია, საი  
დანაც ეს ქვეყანა იმ ქვეყანას უერთ  
დება და სიკვდილი კი არა სჩანს.

მართლაც, მსჯელობის მხე  
დველობაში რომ შეხვიდეთ-სად შეი  
ძლება სიკვდილს შეხვდეთ, როცა  
შენ ხარ, სიკვდილი არ არის. სიკვ  
დილი მოვა და შენ აღარ იქნები..  
თითქოდენ სიკვდილის ასაქცევ ად-  
გილას დგას ადამიანი ამ ქვეყნიდან  
იმ ქვეყანაში მისასვლელად.

ეს თითქოდენ, თორემ ნამ  
დვილად სიკვდილს ისევე ხვდება  
ადამიანი, როგორც მთათა შორის  
ხევს.

მაგრამ ვის შეუძლია გაგება  
ამ სინამდვილის, როცა არა მარტო



თვალს, არამედ ადამიანის გონება-საც სიმართლე ჰგონია?.

თვალს ხან-და-ხან ეჩვენება მათა გაერთიანება-ეს იცის ქართველმა იმიტომ, რომ მთებისა და ხევის ბუნებას იცნობს..

და არის კაცი ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის ბუნებასთან ერთად სიკვდილის ბუნებას იცნობდეს?

არა.

რად?

რადგან შენ ხარ, სიკვდილი არ არის: სიკვდილს ვერ იცნობ..

სიკვდილი მოვა და შენ აღარ იქნები: ველარავის ველარ შეხვედები, ვერაფერს ველარ ეტყვი.

მაშ ვინ უნდა იცოდეს სიკვდილს ხედება თუ არა ნამდვილად ადამიანი?

იმან, ვინც სიკვდილის შემდეგ კიდევ.. ვინც სიკვდილის შემდეგ კიდევ შეხედება ადამიანებს და ეტყვის იმას, რაც სიკვდილთან ნახა.

ჩვეულებრივად ადამიანი სიკვდილის მოსვლის ანუ მოკვდომის შემდეგ არაა და არც შეეძლო სინამდვილის გაგება.

ამ გარემოებით ისარგებლა ბერძენმაც და დაიწყო სიკვდილის შიშისაგან მკურნალობა ადამიანის..

აბა ვინ გაიგებდა, რომ სიკვდილთან არ შეხვედრა მოჩვენებითი სიმართლეა?

არავინ.

ვინ იტყოდა, რომ მოვკვდი და მერე ისევ ისე ვარო?

რათქმუნდა, არავინ.

და ასეთი მოჩვენებითი სიმართლის აღმოჩენა, როცა რომმა საბერძნეთში სიკვდილის შიში შემოიტანა, წამლის აღმოჩენა იყო.

რად?

რადგან წინააღმდეგობა სიკვდილის შიშისადმი, იგივე წინააღმდეგობა იყო რომისადმი.

ასეთ სიმართლის აღმოჩენას

სიბრძნის ქვეყანა „წამლად წარმოადგენილ სიმართლეს“ უწოდებს..

ამიტომ ბერძენი უარყოფდა რა სიკვდილთან შეხვედრას, ამით კი არ ატყუებდა თავის ერს, არამედ წამლობდა შიშისაგან.. არამედ მხნეობას სთესდა მკურის წინააღმდეგ.

სად?

ბერძენ ადამიანთა წიაღში..

მაგრამ ქართველ ადამიანის ბუნება სხვა არის..

ქართველი ადამიანი არა მარტო გარეგნულად-აგებულობით, შეხედულობით განსხვავდება ბერძენ ადამიანისაგან, არამედ შინაგანი-სულის თავისებურობითაც.

მაგალითად ხეა დგნალიცა და მუხაც..

მუხა დგნალისაგან განსხვავდება ფოთლებით, ტოტებით, მთელი აგებულობით, არა?

ეს მუხის გარეგანი ქვეყანაა.

ხეებს აქვსთ შინაგანი ქვეყანაც.

ხეებს აქვსთ სულიცა და გულიც ადამიანებისაგან..

და აი მუხის არა მარტო ფოთოლი, არამედ გულიც განსხვავდება დგნალის გულისაგან..

მუხის არა მარტო ტანი, არამედ სულიც განსხვავდება დგნალის სულისაგან.

ასეც ერთი ერის ადამიანის ტანი და სული არა ჰგავს მეორე ერის ადამიანის ტანსა და სულს..

მერე, დგნალის ხეს შედარებით მუხის ხესთან ცუდი იოლად სჭრის და ჭიაც ადვილად სჭამს..

სამაგიეროდ მუხის ხე ცულსაცა და ჭიასაც ძვირად იკარებს, არც ერთს არ ერიდება.

ხეს, რომელსაც ჭია სჭამს, ჩვეულებრივად წამლობენ..

ეს თავისებური აქიმიობაა „ჭიის შიშისაგან“..

მუხას სჭირდება ასეთი წამ

ლობა?

რატიქმუნდა, არა.

ხედავთ, ერთი ხის ბუნება რომ „ჭიის შიშისაგან“ წამლობას ითხოვს, მეორე ხის ბუნებისათვის ეს სრულიად ზედმეტი არის.

ასეც ერების ადამიანთა ბუნება..

ადამიანის ბუნებასაც შიში, დარდი ისე სჭამს, როგორც ხეს ჭია.. მხოლოდ არა ყველა ერის ადამიანს: ზოგ ერის ადამიანს დარდი ვერ უდგება, შიში ვერა სჭამს..

ასეთია ქართველი ერიც..

ქართველი ადამიანი შიშისაგან. მკურნალობას ისევე არ ითხოვს როგორც მუხა წამლობას ჭიისაგან..

მუხასავით ქართველიც შიშს, დარდს არაფრად ადგებს, სიკვდილის არ ეშინია..

ქართველი არამც თუ ფერით, არამედ ტანითაცა და გულითაც მუხაა..

აი რატომ ქართველ ადამიანისათვის სრულიად ზედმეტია, ის რაც ბერძენ ადამიანს უნდოდა.. ბერძენი „სიკვდილის შიშისაგან“ მკურნალობას ითხოვდა, ქართველისათვის კი „სიკვდილის შიში, უცხია..

სიკვდილის და არა საერთოდ შიში, გესმის ქვეყანა?!

მედიმ მიდამოს მიხედა..

მედი თითქოდენ ხალხთან ერთად ხეებს, ბალახებს, ყვავილებს ელაპარაკებაო.

— ქართველ ადამიანს მხოლოდ ღმერთის შიში აქვს..

— ღმერთის.. ღმერთის..

ხალხის პირით მოკრძალება გაინძრა.

— ქართველს ეშინია მხოლოდ უსამართლობის, სირცხვილის.. ქართველი დაბადებიდან დღემდე ერთდებოდა სოდოს ჩადენას..

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრა

ხსა სიკვდილი სახელოვანი“ ამბობდა, ამბობს და იტყვის? უდამ ქართველი, მანამ ის ღმერთის ნებით, ღმერთის მფარველობითაა დედამიწაზე..

ხალხის ყურადღებას მოძრაობის უნარი წაართვა მედიმ და საბოლოოდ მიჯაჭვა.. ხალხის წიაღში არ ლაპარაკობდა არც მჭერმეტყველი, არც ჩვეულებრივი ქადაგი.. ხალხის წიაღში ჭეშმარიტება იდო.. იზიდავდა თითქმის მათგანს ძალუმიდ რალაც იდუმალი ძალით.

— დიახ, ქართველს ეშინია სირცხვილის.. სირცხვილია უსამართლობა, დალატი.. სირცხვილია უღმერთო საქმე..

ქართველი სიკვდილის შიშისაგან კი არა უსამართლობის შიშისაგან უნდა დაიხსნა..

მისთვის სიკვდილი არაფერი არაა, ოღონდ იცოდეს რისთვის კვდება: თუ სიმართლე მოითხოვს იგი სიამოვნებით, თავს დასდებს.. იგი მოკვდება სიამოვნებით, ოღონდ სიმართლემ იცოცხლოს..

ქართველს თავისი-თავის კი არა, სიმართლის არსებობა უნდა..

სიმართლე სიცოცხლის ახარია, არსებობის სული და გული ჩვენი და თქვენის!

მიმართა მედიმ ხეებს, ყვავილებს.. მიმართა მედიმ ქვეყანას.

— ქართველ ადამიანის თვალსა და გონებასაც არა-სიმართლე სიმართლედაც ეჩვენება.. ქართველის თვალსა და გონებასაც ეჩვენება მათა არა იქ და ისე გაერთიანება, როგორცადაც ნამდვილადაა..

ჩვენი მოვალეობაა ვუთხრათ ეს სინამდვილე.. ავარიდოთ სიმართლედ მოჩვენებული არა-სიმართლე..

აი ჩვენში რუსობაა ისე, როგორც ოდესღაც საბერძნეთში ბარბაროსი რომაელები იყვნენ.. მხდლოდ

რუსები არა ისეთი, არამედ ათას-  
ჯერ ბარბაროსები არიან.

რა მერე?

ბარბაროსობა სიკვდილის  
ბატონობაა და ქართველს საკვი  
ლის არ ეშინია..

კი მარა, რუსობა მარტო  
ბარბაროსობა როდია..

რუსობა არა-პირდაპირობა,  
უსამართლობაა.. რუსობა ჩვენში სირ  
რცხვილი არის და ეს სირცხვილი  
უნდა მოვაპილოთ ქართველს..

რით?

მოჩვენებითი სიმართლის  
უარყოფით..

მოჩვენებითი სიმართლე ისე  
არ უნდა ქართველს, როგორც მუ  
ხას ჭიისაგან წამლობა.

მოჩვენებითი სიმართლე მთა  
თა გაერთიანების, რუსობის.. მოჩვე  
ნებითი სიმართლე სიკვდილთან შე  
ხვედრის და ასე..

ხედავთ რა გარდუვალობა  
გვალაპარაკებს..

სიკვდილთან შეხვედრაც გა  
რდუვალი სიმართლე არის..

სიკვდილის წინ თვალის ახ  
ვევა—სიკვდილის კი არა, შიშის აცი  
ლებია.. ხიდის კი არა, ხიდზე გადასვ  
ლის შიშის..

ასეც ბერძენ ადამიანის მსჯე  
ლობით სიკვდილთან შეხვედრის კი  
არა, სიკვდილთან შეხვედრის შიშის  
აწილებაა.. თორემ ნამდვილად ყო  
ველი ადამიანი სიკვდილს ისე ხვდე  
ბა, როგორც თვალ-ახვეული ხარი  
ხიდს.

ყოველი ადამიანი სიკვდილ  
თან მიდის და რას უშვება სიკვი  
ლი ადამიანს?

ამ კითხვანზე პასუხს მერე გავ  
ცემთ, მხოლოდ ჯერ გავიგოთ თვით  
ადამიანი როგორ იცვლება.

ადამიანს აქ, ამ ქვეყანაში,  
მაგალითად, აზრი სცილდება, სული  
კი ერთი წუთით ვერ მოუპილე  
ბია..

იქ კიდევ მიცვალებულს აზ  
რისავე სულიც სცილდება, დადის  
სადაც უნდა ისევე ტანს უბრუნდება..

მერე, აქედან იმ ქვეყანაში  
ადამიანის მხოლოდ აზრი და ფიქრი  
მიდის.. ამ აზრსა და ფიქრს არ მის  
დევს არც თვალი, არც ტახი და არც  
სხვა არაფერი..

ამიტომ ჩვენი აზრი და ფიქ  
რი იმ ქვეყანაში ბევრს ვერაფერს ხე  
დავს.

სულ სხვაა მიცვალებული...

მიცვალებულის ჩვენი აზრი  
სა და ფიქრისავე აქეთ სულიც მო  
დის და ამ სულს მოაქვს მხედველო  
ბაც, ხმაც...

ამიტომ მიცვალებული  
არამც თუ იმ ქვეყნად, არამედ აქაც  
ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ეს  
მის, იცის..

მიცვალებულმა წინდაწინ  
იცის ბევრის ბედნიერებაცა და  
უბედურებაც.

ბევრს უნდა მოეხმაროს კიდევ,  
მაგრამ მისი ხმა ცოცხალს არ ესმის..  
ცოცხალი მას ვე, ხედავს.. ცოცხალი  
მხოლოდ გრძნობს და ისიც ხანდის  
ხან და ისაც არა ყოფილა ცოცხალი.

მიცვალებულს ხმაც ისე არ  
სცილდება, როგორც ჩვენ.. მიცვა  
ლებულს შეუძლია აქედან მთვარეზე  
გააგონოს მიცვალებულსავე..

და აქედან მთვარეზე ჩვენი  
ჩურჩული, გულში ნათქვამიც გაიგო  
ნოს.

ეს ყველაფერი ჩვენ გვეუც  
ხოვება..

მაგრამ ჩვენ რა არ გვეუც  
ხოვება?

ჩვენ გვიკვირს, გვეუცხოვე  
ბა ყვავილის სუნთქვა, ქვის სიცო  
ცხლე მაშინ, როცა ჩვენ გვერდით  
არიან, ჩვენსავე არ უნდა იყვენ..

ეს მე თქვენ ცოცხლების შე  
სახებ გითხარით..

მიცვალებული ადამიანი მკვ  
დრებსაც ხედავს..

უკეთ, მციავლებული იმ ქვეყანაში ისეა, როგორც ცოხცალი ამ ქვეყანაში..

იმ ქვეყანაში კი ყველაფე რია, ყველაფერი ის, რაც აქ ყოფილა:

იქ არიან ადამიანები, რომლებსაც ოდესღაც უცხოვრიათ დე დამიწაზე..

იქ არიან ხეები, რომლებსაც აქ ყვავილები გამოუღიათ, გაუხარიათ..

იქ არიან ქვეები, ვარსკვლავები, რომლებსაც ამ ქვეყნისათვის უყურებიათ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ..

იქ კაცის მოკვდომაც წინდა წინიციან, როგორც სოხალმა დაბადება ბავშისა..

მიდხარ იქ და სიკვდილის შემდეგ დედის ხმა გესმის..

დედას, ან მახლობელს ხედავს ადამიანი სიკვდილთან..

მეც დედა ვნახე. მერე მახლობლები.. ქართველები.. კავკასიელები..

ჩემი ნახვა არავის არ გაეხარდა: „ჩვენ უკან ვბრუნდებით და შენ აქ რაზე მოდიოდით“ ყველას ფიქრი და აზრი მეუბნეოდა ამას..

ამბავს არც კითხულობენ, რადგან იმათ ჩვენზე უკეთ იციან ყველაფერი ის, რაც ზდება აქეთ..

მისვალელებს იქაური წესრიგი გაოცებს:

ის ქვეყანაც ეროვნებადაა დანაწილებული, მხოლოდ არა ისე როგორც აქ არის..

იქ ერი ერთი ვერ აირევა..

იქ ერს ხმაზეც და თმაზეც კი სცნობენ.. ენას ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ „ერთ ენაზე შეიძლება სხვა და სხვა ერის ადამიანმაც ილაპარაკოს“..

უფრო ნაკლებ, უკეთ, არაფერს მნიშვნელობას არ აძლევენ იმას, თუ შენ თავს რომელ ერს აკუთნებ..

იქ შენ არც გეკითხებიან.. შენი სული და სხეულის აგებულობა შენი ხმაც, შენი ლაპარაკიც..

მერე იქ დედამიწა ისე კი არაა დანაწილებული, როგორც აქ არის:

იქ არ შეიძლება ერთ ერს მეორეზე მეტი, ან ნაკლები მიწა ჰქონდეს ისე, როგორც მკვდარს მკვდარზე მეტი, ნაკლები მიწა არ აქვს..

მკვდრებისავით ერებსაც მიწას ადლობით უზომავენ ზუსტად, ხედმიწვევით..

ამიტომ მთელი ის ქვეყანა სკებისავით დაყოფილია და სკებისავით კარებებიც აქვს, საიდანაც შედიან და გამოდიან მკვდრების სულები..

პირველ შეხედვით ისე მოსჩანს, თითქმედნ ის ქვეყანა „სულების საფუტკრე“ არისო

მისვალელებული ყველაფერს ხედავს და ხედავს ამ „სულების საფუტკრესაც“

ქართველი მისვალელებული ხედავს. რომ იმ ქვეყანაში ქართველებთან სომხები სულ აღარ არიან.. ტფილისშიც დახოცილი სომხები სომხეთში მიდიან იმ ქვეყნად..

ასევე საქართველოში და საერთოდ კავკასიაში დახოცილი რუსები იმ ქვეყნად რუსეთს უბრუნდებიან, რომელსაც სადაც ცივი ადგილი უკავია..

ქართველებიც, სადაც არ უნდა მოკვდნენ, საქართველოს უბრუნდებიან. სულერთია, კვდება ციმბირში, სპარსეთში თუ თურქეთში..

მაგრამ ეს კიდევ არაფერი..

მე უფრო გამიკვირდა ის, რომ იქ ქართველების ისეთი დანაწილება არ არსებობდა, როგორც აქ არის..

იქ არც ერთ ქართველს არ ახსოვდა და არც იყო ხსენება ქართლელის, იმერელის, მეხსის, მეგრე

ლის, კახელის, ლაზის, სვანის, აფხაზის, თუშ-ფშავ-ხევსურის, ინგილოსი, აჭარლის, რაჭველის: გურულის, სამურზაყელის, ქიზიყელის, შავშელის, ჯავახის, ლეჩხუმელის, ჩობულეთელის..

იქ ყველა ქართველი ერთი იყო ქართველის სახელით..

თითველი მიცვალებული ქართველი, რომელიც საქართველოს მიწაწყალის თითველ ქვას, ბალახსა და ყვავილსაც; რომ იზნობდა, ქართულს იმერელისაგან ვერ არჩევდა, კახელს ლაზისაგან, მესხს მეგრელი საგან..

ქართველთა ამგვარი სწობა-გაგება მიცვალებულთ არ ჰქონდათ..

მიცვალებულები ქართველებს ისევე სცნობდნენ, როგორც ქართულ ყვავილებს, ქართულ ქვებს..

მიცვალებულები ქართველებსაც ქვებისავით ოლქებად, ქალაქებად და სოფლებად ანაწილებდნენ..

ჩვენ ვიცით, მაგალითად, ქვაგელათის, თელავის, ვარძიის .

იმ ქვეყანაში ასევე ხმარობენ უკვე არა მარტო ქვების, არამედ ქართველთა მიმართაც

ამბობენ; „ქართველი თელავის, გორის, ფოთის (ან) ქართველი თელავის, გორის, ფოთის ოლქიდან..

ქართველი ლომისის, თმოგვის (ან) ლომისის, თმოგვის ოლქიდან „(იმ ქვეყნად ქართველები ახალ სიხეს ლომისს უწოდებენ და ახალ ქალაქს თმოგვს.. იმ ქვეყნად სამხრეთ საქართველოს ისევე დიდ წარსულს ღვიძავს]

სამაგიეროდ კარგად არჩევენ მეზობლებს, თანამებრძოლებს: ლეკებს, ჩერქეზებს, ოსებს აზირბეიჯანლებს...

აზირბეიჯანელიც სადაც არ უნდა მოკვდეს, იმ ქვეყნად აზირბეიანს უბრუნდება..

იმ ქვეყნად აზირბეიჯანელი თურქი არ არის და იქ ძალიან ჯავრობენ, რომ აქ თავიანთ თავს მტრის გასახარებლად თურქებს უხმობენ..

იმ ქვეყნად აზირბეიჯანი საქართველოს მიჯნაზე სრულიად თავისუფალი, ჯანსაღი ერია..

ლექეთი, ჩეჩნეთი, ჩერქეზეთი, ოსეთი ინგუშეთი იმ ქვეყნად ისე მსირენი კი არ არიან, როგორც აქ..

ჰმმ.. იმ ქვეყნად თითველი მათგანიც იმდენივეა, რამდენიც სხვა ერები არიან..

იქ ჩეჩნეთი იმდენივეა, რამდენიც ჩინეთი, საფრანგეთი, საქართველო, ინგლისი, ინდოეთი გერმანია და სხვა.

იქ ერთი დიდი, პატარა არაა არც რიცხვით და არც მიწაწყალით.

მართალია თქვენ გაგიკვირდებათ და იტყვიან: „თუ ყველაფერი აქედან იქ მიდის, მაშინ მრავლად და ხოცალი ჩინელები იქაც მრავლად იქნებიან“

ო, არა!

სიკვდილი მიტომაა რომ შენსვალოს არამც თუ ადამიანი. ერთიც..

სიკვდილი სძვლის, ართმევს სიმრუდეს ერს, ადამიანსაც.

რა აქვს მრუდუდ ერს?

თვითველ ერს ერთი ძირი აქვს, ერთი ერთია ერთ ხესავით..

სიკვდილიც იღებს რა თითველ ერს იმ ქვეყნად იმდენ ნიადაგზე. ისე რგებს-როგორც აქ თქვენ თითო-თითოდ ხე დარგათ.

შემდეგ ერის რამდენი ადამიანიც არ მოკვდეს ამ ერთ ეროვნულ ხეს გადასცემს..

ეს „ბეც“ იმდენ ადამიანს იყოლიებს, რამდენიც ფოთოლი შეეფერება.. ზედმეტს კი თავის წილში ინახავს ისე, როგორც ხეს აქვს შენახული მრავალ წლის გასწვრივით

ფოთლების გიმოღების ძალა.

იმ ქვეყნად ქართველებს სა რწმუნოებაც ერთი აქვსთ.. იქ არაა არც მაჰმადიანი და არც ქრისტიანი ქართველი.. ყველას ერთი ღმერთი სწამს და ქართველი ერთი ღმერთის მოსავე ერია..

თითველი ქართველი მაჰმადსა და ქრისტესაც, როგორც ღმერთის მოციქულებს, მოწიწებით პატივსაცემს..

არამც თუ ქართველებს, სა ერთოდ ადამიანებს იმ ქვეყნად ერთ ღმერთის არსებობა სწამთ და სარწმუნოებაც ერთი აქვსთ..

ერებს მხოლოდ რჯული აქვსთ სხვა და სხვა და არა სარწმუნოება.

ასე რომ ქართველთა სულისა და სხეულის ერთობა იმ ქვეყნად მკვიდრია..

აქედან მისულს, რათქმუნ და, გაკვირვებს მათი მთლიანობა, მათი თანხმობა..

პარტიები, როგორც აზრის, განძის, გაგების სხვა და სხვა დენა, იქაც არიან..

პარტია იქ აზრის თავისებულობაა, აზრის მიმდინარეობა..

აზრები იქ ისე მიმდინარეობენ, როგორც აქ მდინარეები..

მდინარეები კი აქ ქართველთა ნიადაგიდან გამოდინან.. სხვა და სხვა მიმართულებითაც ქართველთა ნიადაგზე იღვრებიან.. შნოსა და მხნეობას ქართველთ აძლევენ..

იქ ქართველთა აზრი ქართველთა ბუნებიდანვე ამოდის ისე, როგორც აქ ჩვენი მიწაწყლის წიალიდან ჩვენი ყვავილი.. და ყვავილისავით იქ აზრიც შნოს, სიხარულსა და ძალას თავისივე დედა-ნიადაგს აძლევს..

იქ ქართველთა აზრის მიმდინარეობა ქართველთავე ნიადაგია, როგორც აქ ჩვენი მიწაწყალი, ჩვენი მთები არიან..

მთა კი მაღალიცაა და დაბალიც.. დაქანებული, კლდოვანიც.. მორთული ყვავილებით, ფოთლებითაც..

მთები აქ სხვა და სხვანაირად ლაგდებიან, მიიმართებიან..

მთები ახლოვდებიან, შორდებიან ერთმანეთს, მაგრამ ყველანი კი ქართულ ნიადაგს ჰქმნიან მოყვანილობითაც. მიმართულებითაც, მართებულობითაც..

მთები ქართულ ნიადაგს ვერ შორდებიან!

მთებისავით აზრთა მდინარეები ამალვებენ, რთავენ ქართველთა სულიერ ცხოვრებას იმ ქვეყნად..

მთებისავით აზრთა მდინარეები ჰქმნიან ქართველთა სულის ბუნებას..

აი რა არის იქ პარტია!

პარტია იქ მთაა, ყვავილი მდინარე, ქვა, მცენარე..

მთა კი აქ ქართველთა მიწაწყლის წვევრია, წვევრია მდინარეს, ყვავილიც, ხეც მცენარეს..

ყველა ესენი ერთად ქართველთა მიწაწყალს ჰქმნიან: მორთულობით, მოყვანილობით ფერით დიდებით..

ყველა ესენი ქართველთა მიწაწყლის მთლიანობაა, ქართველთა მიწაწყლის წიალი..

აი რა არის იქ პარტია!

პარტია იქ მთაა, მთა კი აქ სიამაყეა, სიმალე ქვეყნის..

პარტია იქ ყვავილია, ყვავილი კი აქ სიხარულია ქვეყნის..

პარტია იქ მდინარე-წყალია, წყალი-კი აქ სიწმინდეა ქვეყნის..

პარტია იქ ხეა, ხე კი აქ მხნეობაა ადამიანის..

პარტია იქ ქვაა, ქვა კი აქ სიმტკიცეა კაცის..

რომელ ერთს გამოაკლებთ ქართველთა მიწაწყალს?

რომელიც არ გამოაკლოთ, ქართველთა მიწაწყლის მთლიანობა

დაირღვა.. ქართველთა მიწაწყლის აგებულობას თავისებურობა დააკლდება..

ასეც იქ რომელიმე აზრის მიმდინარეობის ვამოკლებით კნინდება, კლებულობს ქართველთა სულიერ ცხოვრების სიმდიდრე.

აქ მთები, მდინარეები, ყვავილები, ხეები და ქვეები ჰქმნიან ქართველთა მიწაწყლის ერთობას და აიროგორია ეს ერთობა:

ზამთარში მარტო მთები კი არ არიან თოვლ-ქვეშ. თოვლ-ქვეშ არიან მდინარეებიც, ქვეებიც, ყვავილებიც..

თოვლ-ქვეშ ქართველთა მთელი მიწაწყალია.

თოვლ-ქვეშ ყველანი ერთად არიან.

ერთი განიცდის ზამთრის მწუხარებას და მეორებს კი არ უხარიათ? ზამთარს მთა განიცდის და ქვას კი არ უხარია?

ყვავილი განიცდის და ხეს კი არ უხარია?

არა, მწუხარებაში ყველანი ეხვევიან..

დარდის-ქვეშ მთებთან ქვებიც არიან. ქვებთან ყვავილებიც, ყვავილებთან ხეებიც, ხეებთან მდინარეებიც..

დარდის-ქვეშ ყველანი ერთად არიან, ერთად იკრებენ ძალას მის დასანგრევად..

ასეც იქ ყველა აზრის მიმდინარეობის ქართველები ეროვნულ მწუხარებაში ეხვევიან..

ეროვნულ დარდის-ქვეშ ყველანი ერთად არიან, ერთად იკრებენ ძალას მის დასადნობად.

აი როგორ ესმით იქ ერთობა.

აქ მარტო მთები კი არ გამოდიან გაზაფხულზე გამარჯვებულნი?

გაზაფხული მარტო მთებს კი არ უხარიათ?

არა, მთებთან ყვავილები გა

მოდიან გაზაფხულზე გამარჯვებულ გახარებულნი..

მთებთან ერთად ყვავილებსაც გამოაქვსთ ძალა გაზაფხულის სადიდებელი..

ყვავილებთან ერთად ხეებსაც უხარიათ, ხეებიც იღებენ ყვავილებს, ფოთლებს..

ხეებიც იღებენ ძალას გამარჯვებისას..

ხეებთან ერთად მდინარეებიც მიიმდერებიან.. მდინარეებიც უფრო თებენ ვაჟკაცურ გამარჯვებას თავიანთ გუგუნს..

მდინარეებთან ერთად ქვებიც გამარჯვების ძალად არიან.

მთა სიხარულშია გახვეული და ყვავილს მთის სიხარული კი არა უშურს?

ო, არა?

მასთან ერთად ყვავილსაც უხარია.. ყვავილთან ერთად ხეს სიხარულშია.. ხესთან ერთად მდინარეც, ქვაც.. სიხარულშიც ყველანი ერთად არიან..

ყველა გაზაფხულის სადიდებელ თითო-თითო ჰანგს ამბობს.

ასეც იმ ქვეყნად ქართველების გამარჯვება და სიმღერაა..

იმ ქვეყნად ყველა მიმდინარეობის ქართველებსაც ძალა ერთად გამოაქვსთ ეროვნულ გაზაფხულსთვის..

იქ ქართველებსაც ერთი მეორის გამარჯვება, გახარება კი არა უშურთ, არამედ გამარჯვებაშიც და სიხარულშიც ერთად არიან ხეები საერთო, ყვავილებისავე..

გამარჯვებაშიც და სიხარულშიც საქართველოს დიდების თითო-თითო ჰანგს ამბობენ..

აი როგორია იქ ქართველთა ერთობა!

ჰმმ.. ესაა და ეს იმ ქვეყნის დიდება, იმ ქვეყნის საკვირველება?

ო, არა.. ძვირფასო ძმებო..

იქ ქართველობა ერთად, ერთ ზღვა არის..

ზღვაზე კი აქ ტალღები ამოდიან. ზღვაზე ტალღები დადიან, ნაპირებისაკენ მიგორავენ, ერთი-მეორეს ეშველებიან..

ერთი თუ ვერა, მეორეს უნდა ნაპირთან მივიდეს. მეორე თუ ვერა, მესამეს უნდა მანც მიგორდეს და ასე ტალღები მისდევენ, მიგორავენ, ერთმანეთს ეშურებიან—თითქოდენ მათში შეშურვილებას, შეჯიბრს გაუღვიძიათ..

ტალღები საიდან ამოდიან? ზღვის წიაღიდან..

რად?

ზღვის მწუხარების მაუწყებლად.

ტალღები ნაპირებისაკენ რად მიგორავენ, რად მიილტვიან?

ზღვის მწუხარების გამოსატანად.

აგერ ზღვის წიაღი: რაც მეტი დარდი-მწუხარებაა, ტალღებიც მით უფრო დიდათ დგებიან.. რაც მეტი გრიგალი და ქაირიშხალია, ტალღებიც მით უფრო სწრაფად მიისწრაფიან მწუხარების გამოსანთხევად..

და შეიძლება ამ მღელვარე ზღვაზე ტალღა შესდგეს, შეჩერდეს? არა ტალღა ნაპირისაკენ მიგორავს..

შეიძლება მღელვარე ზღვაზე ტალღა ახირდეს: „ჩემ შემდეგ ტალღა არ იყოს, ჩემ შემდეგ ტალღა არ ამოვიდეს?“ არა ტალღა ტალღას მისდევს ტალღები ზღვის გულიდან თანდათან, თანმიმდევრობით ამოდიან ჰმუნვა-დარდის გამოსატანად.

არ შეიძლება ტალღამ ზღვის არსებობა დაიწყოს?

ო, არასოდეს..

ტალღები ზღვიდან იბადებიან..

ტალღებს ზღვა შობავს..

სხვა და სხვა ტალღები მუდამ თავის დედის-ზღვის სიმღერას ამბობენსხვა და სხვა ჰანგიათ, სხვა და სხვა დროსაც..

ზღვა თავისთავად არსებულ ტალღებით სულს ითქვამს.

ზღვა იმ ქვეყნად რომ ერია, ტალღებიც მიმდინარეობანი არიან..

იქ აზრის, ფიქრის, მოქმედების მიმდინარეობა, იგივე ზღვაზე ტალღების მიმდინარეობაა..

იქ მიმდინარეობანი ერის წილიდან ამოდიან ტალღებისავით და ტალღებისავით მიილტვიან მწუხარების გამოსატანად..

იქ მიმდინარეობანი ისეთსავე შეშურვილებას, შეჯიბრს არიან ერის მწუხარების მოსაძიებლად, როგორც აქ ტალღები..

იქ მიმდინარეობანიც იმავე თანმიმდევრობით მუდამ იმავე ქართველ ერის სიმღერას ამბობენ, როგორც აქ ტალღები..

აქ ზღვა სდევნის უსუფთაობას, თავის წიაღიდან ტალღებით გარედ გამაქვს იქ ერი..

აქ ზღვას ტალღებით და იქ ერს მიმდინარეობით ღვიძავს..

ეს უკვე სხვა და სხვაობა აღარაა..

ეს ერთობაა ერთი-და-იმავე სათვის აქ ზღვისა და იქ ერის სიბოცხლისათვის..

აი იქ რად და როგორი მიმდინარეობაა აზრის, ფიქრის და მოქმედებისაც!

ერთი მთა ქვეყნის დიდებულ მორთულობას ვერა ჰქმნის..

ერთი მდინარეც ქვეყნის სიღარიბეა.. სიღარიბეა ერთ-ერთი ყვაილიც, ხეც.. ერთ-ერთი ქვაც რომ რომელიმე მიწაწყალზე..

მიწაწყლის სიმდიდრეს მრავალფეროვნება ჰქმნის მთათ, ყვავილთა, ხეთა და მდინარეების..

ქვეყნის სიტურფე მრავალფეროვნებაა ყველაფრის აქ..



იმ ქვეყნადაც სულიერ ცხოვრების სიღარიბედ ითვლება ერთი აზრის მიმდინარეობა...

იქაც ერთი აზრის მიმდინარეობა ერთი მდინარის, ერთი მთის, ერთ-ერთი ყვავილის, არსებობაა ერის სულიერ ცხოვრების წიაღისათვის...

იქაც სულიერ ცხოვრების სიმდიდრედ, სიტურფედ მიმდინარეობათა მრავალფეროვანებაა.

ერთი მდინარე რომ იყოს და მთელ მიწაწყალს ასაზრდოებდეს თავის ძლიერებით?

ასეთი ერთი მიმდინარეობათვით ერია თავის სულით, სხეულით...

ასეთი მდინარე თვით „ერის პარტიაა“, რომლის დაბადება, დაარსება ღმერთითაა.

„ერის პარტიის“ დაარსება, დაბადებულის მეორედ დაბადებას ნიშნავს. ქართველი ერი „პარტია“ არ არის ქართველის მიმართ. არა, იგი „პარტია“ არა ქართველი ადამიანისა და არა - ადამიანისმცენარის, ცხოველის, ქვის მიმართ.

ერი საერთოდ არაჩვეულებრივი, ღვთაებრივი ორგანიზაციაა... ერი ღმერთის ნება-სურვილია და არა კაცის.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ღვთაებრივ ორგანიზმის შიგნით ჩვენი, კაცთა ორგანიზაციაც ვიქონიოთ ისე, როგორც ღმერთის აზრის გვერდით კაცის აზრიცაა.

კაცის აზრია ღმერთის აზრის იცავს და არის, პირიქით, აზრი კაცისა ღმერთის აზრს არღვევს. მაგრამ არის შემთხვევაც, როცა ღმერთის აზრს ეთანხმება აზრი კაცისა. ამ შემთხვევაში ღვთაებრივი ჰემდარიტება ადამიანის პირითაც ლაპარაკობს.

ასეც ღვთაებრივი და კაცთა ორგანიზაციაა: არის კაცთა ორგანიზაცია იცავს ღვთაებრივ, კერ

ძოდ, ეროვნულ ორგანიზაციას... არის კაცთა ორგანიზაციაც არღვევს ღმერთის ორგანიზაციას, არღვევს ერს. მაგრამ შემთხვევაცაა, როცა კაცთა ორგანიზაცია ჭახლოვდება ერის ფარგლებს, ერის „პარტიის“ ნაპირებს...

ეს — როცა ერის სულისა და სხეულის სტიქია ლაპარაკობს კაცთა პირითაც. ეს — როცა ერის სტიქია მოქმედობს კაცთა პირითაც თავის საარსებო პირობისათვის.

მერე, იქ ქართველებს ძალიან ეზარებათ უცხო ფეხის ხმის აყოლა. უცხო ფეხის ხმის ამყოლები არც არიან და აგერ-იგერ რომ გამოერევიან, იმათაც უყურადღებოდ სტოვებენ, როგორც უნიადაგობას.

„ქართველს, — ამბობენ იქ, — თავის ფეხი აქვს და ქართველის ფეხმა ქართველისვე გულისხმა უნდა გამოიტანოს“ —ო.

იქ უწინ ქართველს და ქართველ ადამიანის აზრს სცემენ პატივს და არა უცხოელს, და არა უცხოელის აზრს. იქ ქართველობა იდეალია საქმით, სიტყვით და მოქმედებითაც. იქ ქართველობა ლოცვაა, დიდება ღმერთისაც. და წარმოგიდგენიათ იმ ქვეყნად რა დიდი თავისუფლება უნდა სუფევდეს... თავისუფლება აზრის, სიტყვის, მოქმედებისა.

იქ ადამიანის სიტყვა კაცის სიმართლეცაა, სიმართლე ერის, სქესის და პიროვნებისაც..

ასევე აზრის, განცდის და გამოთქმის.

იქ აზრი არ იღვევება, არ ისჯება. იქ აზრი ისევე ხმება, როგორც აქ ხე ვახმეს თავისით, ვახმეს თავისით ყვავილი. ან ცდება ისე, როგორც აქ ცდება უვარგისი თესლი თავისით.

ეს უკვე კაცთა სასჯელი არ არის. ეს სასჯელია ღმერთისა.

ხელავთ იქ, ღმერთისებურ თავისუფლებაში ღმერთის სასჯელით ცხოვრობენ!

ყველაზე დიდი, ყველაზე მართებულიც ღმერთის სასჯელი არ არის ადამიანისათვის?

— ჰაი-ჰაი რომ ღმერთის სასჯელია.

იყო პასუხი ხალხიდან.

ო, საყვარელო ძმებო, — განაგრძო ისევ მედიმ, — ღმერთის სასჯელთან ერთად მათ ერთი სასჯელიც აქვსთ ძალიან ძნელი, ძალიან მძიმე. ეს არის ჩვენი ურიგო არა-საკადრისი ქცევა, ცხოვრება კაცისათვის, ერის, სქესისა და პიროვნებისათვის.

აკი ვსთქვი იმ ქვეყნისათვის ეს ქვეყანა ცხადია თავისი აზრით, ფიქრით, სიკეთითა და დანაშაულებით.

და როცა აქ კაცი დანაშაულს სჩადის, იქ ყველა ადამიანი სწუხს, დამნაშავედ გრძობს თავს. იქ განურჩევლად ერის, ყველა ადამიანს სცხვენია არა-ადამიანთა: ხეების, ქვების, ცხოველების წინაშე აქ ჩადენილ ურიგობისათვის.

იქ მიცვალებული ხეები, ქვები, ცხოველებიც მიცვალებულ ადამიანებისაკენ ყველაფერს ხელდავენ და როცა კაცი აქ ხეს უღროოდ, უდანაშაულოდ სჭრის, იქ ხეები ამაზე ძალიან ჯავრობენ და საყვედურს მიცვალებულ ადამიანებს აძლევენ: „აი დაინახეთ — რა ბოროტები ხართ ადამიანები“—ო.

როცა აქ ქვეს ამტვრევენ უაზროდ, იმ ქვეყნის ქვებიც ტანჯვას განიცდიან, ეუბნებიან ადამიანებს: „აი რა უფულო, ურჯულონი ხართ ადამიანები—ო.

როცა აქ კაცი ცხოველს სჭამს უადგილოდ. იქ ცხოველები ღრინაცელში მოდიან, ეუბნებიან ადა-

მიანებს: „აი რა მხეცები ხართ ადამიანები“—ო.

მართლაც ადამიანთა სიმხეცე, გაუმადლოება, სიხარბე იქიდან ერთობ ნათლად ჩანს. იქიდან ისე ჩანს, როგორც აქ ერთმა მეორის სიხარბე დაინახოს, დაინახოს კაცმა კაცის სიხეცე.

იქიდან ხელდავენ ადამიანებიც და მუდამ სულის ქენჯნაში არიან ამ ქვეყნის ადამიანთა ურიგობით, მოუთმელოდობით, კაცთა არა საკადრისი საქციელით.

ამ ქვეყნად ვაჟის არა საკადრისი საქციელი ვაჟისათვის, იქ ვაჟებს აღონებს. იქ ქალები ვაჟებს ეუბნებიან: „აგერ მამაკაცები ასეთებო ხართ“—ო.

ქალების ურიგო საქციელიც ამ ქვეყნად იქ ვაჟების საყვედურს იწვევს: „აგერ დედა-კაცებიც არ ჩამოგვრჩებით“—ო.

პიროვნების დანაშაულს კი მშობლებს, ნათესავებს უსაყვედურებენ, ეუბნებიან: „შენი სისხლი და ხორცი არის“—ო.

ასე მწუხარება და დარდი არ შორდებათ იმ ქვეყნად ადამიანებსაც.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

ყველაზე დიდი მწუხარება, გლოვა მათთვის ეროვნულ სირცხვილს მოაქვს: როგორ ცხოვრობს, როგორ იქცევა აქ ერი — აი მათთვის რა არის მთავარი.

თუ აქ ერი იქცევა ერისათვის არ საკადრისად, იქ სხვა ერები დასცინიან, ეუბნებიან: „აგერ თქვენ როგორი მხდლები ხართ“—ო, თუ აქ ერი სიმხდალეს ჩადის... „აგერ როგორ ბოროტები ხართ“—ო, თუ აქ ერი ბოროტია... „აგერ თქვენ რა უვიცი ხართ“—ო, თუ აქ ერი უვიცია და ასე სიბეცეს, შურს, ჭორს, ლალატს უსაყვედურებენ

ამ ქვეყნად ერის მწუხარება და სირცხვალი იმ ქვეყნად ამ ერის

შვილებს ჯერ ტანჯვაში აგდებს... იქ ტანჯვა არა ერთი, არა ორი, არამედ ყველა... ყველას დავიწყებული აქვს კაცის ურიგო საქციელი, ურიგო საქციელი სქესისა და პიროვნების ეროვნულ სირცხვილის წინაშე. იქ ეროვნულ ტანჯვასაც ერთად განიცდიან და სიხარულსაც ერთად ეძლევიან ამ ქვეყნის ყვეალებისა და ხეებისაგან.

კერძოდ ქართველები იმ ქვეყნად ყველა ერთავად, ერთნაირად მწუხარდ იყვნენ.

რა აწუხებდათ?

სირცხვილი ის, რომელსაც აქ ჩავდივართ... იმ ქვეყნად ქართველებს იმას უსაყვედურებენ, რასაც აქ, ამ ქვეყნის ქართველები ვაკეძებთ არა საკადრის.

რა არის სასირცხვიო, არა-საკადრისი იმ ქვეყნისათვის?

ის რომ ერი ერში არ უნდა აერიოს არც ერთი, არც მიწაწყლით და არც ცხოვრებით. „ერი ერთან შეიძლება მივიდეს სტუმრად, გაიაროს გზად და ქართველებს კი. - ამბობენ იმ ქვეყნად, - თავიანთ მიწაწყალზე სომხებიც ჰყავთ, რუსებიცა და თურქებიც“-ო. ს.ერთოდ უცხო ერის ყოფნა მიწაწყალზე რა სახითა და ფორმითაც არ უნდა იყოს — თუ იგი სტუმარი ან მგზავრი არაა — მიაჩნიათ ყველაზე დიდ სირცხვილად და ქართველები იმ ქვეყნად ყველაზე მეტად ამაზე სწუხან.

სომხების ყოფნას კიდევ ურიგდებიან. სომხებს იმ ქვეყნის ქართველები „ძალაუნებურ სტუმრებს“ უძახიან. როგორც, მაგალითად, თოვლ-ბუქში რომ კაცს კარი გაუღო და შემდეგ ეს თოვლ-ბუქი დიდხანს გაგრძელდეს, კაცს კარში ვეღარ გააგდებ, ვერ გამოიმეტებ მოსაკლავად... იგი დარჩება სასლში ძალაუნებურად.

ასეც სომხები არიან შემოსული

ქართველთა სახლში — საქართველოში და მიუხედავად დიდი ხანისა, თოვლ-ბუქი ჯერამც არ შეწყვეტილა ამ უმოწყალოდ ტანჯულ ერისათვის... და ქართველიც მას მოსაკლავად ვერ იმეტებს, არ აგვიებს სახლიდან. ამ გარემოებას იქ ურიგდებიან, უცდიან თოვლ-ბუქის გადაღებას.

ამაზე სხვებიც ისე არ უსაყვედურებენ, მხოლოდ სომხების მიმართაც აი რას ეუბნებიან: „სტუმარი ასი და ათასი წლის მანძილზეც სტუმრად უნდა გვეყავდესო... მას არ უნდა გაუღვიძო გრძნობა არც სახლის და არც სახლის ნაწილის დაპატრონებისო... ხედავთ, - იქიდან ახედებენ ქართველებს, — სახლს, საქართველოს თუ არა, საქართველოს ნაწილი მინც ეპატრონებიან, კერძოდ, თმოგვის და კარის ოლქებს. ასეთ გრძნობას სტუმარში გააღვიძებს ან სისუსტე ოჯახის, ან უთანხმოება ოჯახის წევრთა“-ო.

უფრო მეტად ვერ ინელებენ იმ ქვეყნად ქართველები ჩვენ მიწაწყალზე და საერთოდ კავკასიაში რუსების ყოფნას. არაფერი ისე არ სძულთ, არაფერი ისე არ ეზიზღებათ, როგორც რუსები.

იქ პირდაპირ გაწამებულნი არიან. როცა აქ, ჩვენში ერების ფარულ მესაფლავებებს (იქ ასე უწოდებენ) ხედავენ. იქიდან ნათლად ხედავენ იმ მღვრიე განზრახვებს, რომლებიც რუსებს ფარლუად და აქვსთ ქრისტიანობის, სლავიანობისა და კომუნისტობის ქვეშ სხვათა მოსაკლავად. „ეს უსაზღვრო ზოროტება რუსების რატომ არ იცით“-ო. უსაყვედურებენ სხვები ქართველებს. „ავერ თქვენ მამაცი, ვაჟკაცები ხართ, ერთი ქართველი ათ რუსს სულს გააგდებინებს და ისინი კი კიდევ თქვენ სამშობლოში არაან, სულს თქვენ გართ-

მევენ არა ვაჟაკობით, არა სიმრავლით, არამედ ფლიდობით, სიმკობით... მართლებს, ვაჟაკებს -- ისინიც მართლები, ვაჟაკები გგონიათ და ესაც ერის სიბეცე, ერის უვიცობა არის" -ო, ეუბნევი-ს.

ხედავთ, ქართველებს რუსების მიმართ არა სიმხდალეს, არა სიმცირეს, არამედ სიბეცესა და უვიცობას უთვლიან.

სიბეცეს იმაზე, რომ რუსი ჰგონიათ იმად, რადაც ნამდვილად არაა: რუსი ჰგონიათ ქრისტიანად, ეთიმორწმუნედაც იმ დროს, როცა გულით გველია... რუსი ჰგონიათ ერების მფარველად, როცა ნამდვილად ერების ფარული მესაფლავება. რუსი რომ მართლა ერთ-მორწმუნე, მფარველი იყოს, ფეხს რად დაგადგამს, საფლავს ფარულად რად გაგიტხრისო? აი რა გე-სმის იქ.

რუსის მენ სამშობლოში ყოფნა — ეს შენზე ფეხის დადგმა... რუსის ენისა და წესების შემოტანა — ეს შენი ერის ენის ტყენა, შენი ერის ტენჯვა და სულის ჭრილობაა. რუსი რომ მართლა ერთი წრითი ქრისტიანობას, ღმერთის კებას დაუბრუნდეს — ის ერთი წუთითაც ვერ იქნება საქართველოში, კავკასიაში, რადგან შექრთება იტყვის: „ჩემ ბოროტებას ეაცი თუ არა ღმერთი ხედავს“, -ო, აი რა გავიგონე იქ.

ადამიანო, ყვავილს რომ ფეხი დაადგა და შემოგესმეს ხმა, ხმა ყვავილისა: „რას გერჩი, რაზე ჰკლამ“-ო?, არ შექრთები, ფეხს არ აიღებ?! ყვავილის ხმასავით რუსისათვის ღმერთის ხმაა უცხო, გაუგებარი, თორემ ისაც შენსავით შექრთებოდა, მურტალ ფეხს მოაშორებდა ყვავილისავით გაშლილ ქართველთ გულს.!

უვიცობასაც უთვლიან იმაზე, რომ ქართველები ძალიან ნაკლებად იცნობენ ბოროტებას... ძალიან ნაკლებად იცნობენ, ფიქრობენ იმაზე, რაც ღრღის, რაც ქვეყანას აჟუტებსო.

თურქების ყოფნას ასქართველოში გაგუებრობად სთვლიან, რადგან იქიდან არც ერთი თურქი ადამიანი ქართველთა მიწაწყალზე, არ მოიხანს... მათთვის თურქები ადამიანებით კი არა, ენით, სახელმწიფოებრივი ფორმით არიან საქართველოში. ისპირის მთებით მოწოლილ ნისლის გაბნევა არც საქმელოდ და არც საჩქაროდ არ მოიხნიათ.

მხოლოდ თურქების მიმართაც უსაყვედურებენ შემდეგს: „სხვა ციხის მიწაწყალზეც შესულა უცხო ენა, წესწყობილებაც, მაგრამ აქ ერს თავისი არც ენა დაუფიქცია და არც ეროვნული ვინაობა. მაჰმადიან ქართველებს ენაც ავიწყდებათ და ზოგჯერ ეროვნული ვინაობაც. მაჰმადიანობა ბევრ კომა მიიღო, მაგრამ მაჰმადიანობის მიღებით ეს ერები თურქები ა - გამხდარან და რაღა ქართველები უწოდებენ თავიანთ თავს თათრებს. თურქებს.

მაჰმადიანობა მიიღო არაბეთში და ამით არაბები თურქები არ არიან... მაჰმადიანობა მიიღო ქურდისტანში და ამით ქურთები თურქები არ არიან... მაჰმადიანობა მიიღო ლეკეთში, ჩეჩნეთში, ჩერქეზეთში და ამით არც ლეკები, არც ჩეჩნები და არც ჩერქეზები თურქები არ არიან... მაჰმადიანობა მიიღეს ქართველებმაც და ამისათვის თურქები რად უნდა იყვნენ...“

განსაკუთრებით აოცებთ, როცა აქ ქრისტიანი ქართველი მაჰმადიან ქართველს ე. ი. როცა ქართველი ქართველს „თათარს“ უწო-

დებს... ეს სამარცხვინო საქციელი ისე ამწარებს იმ ქვეყნად ქართველებს, როგორც რუსების ყოფნა კავკასიაში... ამ საქციელში უცხო ერები იმ ქვეყნად ქართველთა ერთგულ შეგნების დაქვეითებას ხედავენ.

ჰიმ... რა გვიჭირს, რომ ჩვენი ეროვნული სირცხვილი და სიმწარე აქ იდგეს. საერთოდ ქართველებს უსაყვედურებენ იმას, რომ დრო და ადგილის მიხედვით ქართველობენო. თუ დღეს საჭიროა ქართველობის ქერქში შედიან, თუ არა და ქართველობას იცილებენ (სე, როგორც ქვეწარმავალმა ზამთარ-ზაფხულს ადგილის მიხედვით ფერი მიიღოსო.

ქართველებს ქართველობა ქერქად აქვსთ და არა გულადო. გულით ისინი ხან კომუნისტები არიან. ხან სოციალისტები, ხან მაჰმადიანები, ხან ქრისტიანები და არა ქართველებიო.

ის, რაც ტანსაცმელია ტანად და გულად მიაჩნიათ და ნამდვილ გულსა და ტანს ტანსაცმელად ხმაობენო.

გესმით, ქართველები ტანსაცმელს ინახავენ, ტანსაცმელისათვის გულსა და ტანს ხევენ, იფუჭებენო.

ეს იმ ქვეყნად ერებს ისეთ სირცხვილად, გარყვნილებად მიაჩნიათ, რომ ქართველებს შესახვედრადაც ერიდებიან. თვით ქართველებიც სირცხვილით თავს ვერ იჩენენ და წყლისა და ღვინის ნაცვლად სულ ამ სიმწარეს სვამენ.

ამ სიმწართვე ავადაა თამარ-დედოფალიც — „მე ქრისტიანობა მეჭირა სახლის გასანათებლად და არა დასაქრობად. მე ტანსაცმელით ტანს ვიფარავდი, სულს ვითბობდი, გულს ვინახავდი. მე ღმერთსათვის ვიყავ და არა ტანსაცმელისათვის,“ ასე ამოთქვამს ხოლმე და სხვას არაფერს არ ამბობს.

თამარ-დედოფალი ღმერთისათვის ყოფილა! თამარ-დედოფალს სკოდნია, რომ ღმერთის გაჩენილი ღმერთსვე ეკუთვნის და სხვა არაფერს.

მაშ თამარ-დედოფალს შეუძლია იყოს კომუნისმისათვის?

მერე ღმერთს რაღა უთხრას?

ღმერთი არ ეტყვის ჩემთვის გავაჩინე და არა კომუნისმისთვისო! მა კომუნისმს აქვს უფლება და აკვნოს თამარ-დედოფალი?

არა, რა თქმა უნდა.

თამარ - დედოფალი უჭკნობია, თ. მარ - დედოფალი ღმერთისაა. ვინაა თამარ - დედოფალი? თამარ - დედოფალი ქართველი ერია.

ხედავთ, ქართველი ერი არ შეიძლება იყოს დასაჭკნობ, შესაჭმელი კომუნისმისა.

ერი და ქართველი ერიც ღმერთისაა... ერი და ქართველი ერიც უჭკნობი არის, უჭკნობი არის უკუნოდან უკუნისამდე!

უჭკნობია ადამიანიც, მაგრამ ადამიანს განა ჭირი არა სჭამს?

იქნება ეს ჭირი საოფლის, ჭლექის თუ სხვა, სულერთია... ჭირს არ აქვს უფლება და მაინც სჭამს ადამიანს... ჭირის წინააღმდეგ წამალი თუ არ გამონახა, ჭირს თუ არ შეებრძოლა — იგი ადრე თუ გვიან მოჰკლავს ადამიანს.

ასეც ერია: ერიც ადამიანსავით ებრძვის ჭირს — კომუნისმს. ერსაც ადრე თუ გვიან მოჰკლავს ჭირი. თუ დროზე წამალი არ მონახა თავის ან წუთისოფლის წიაღში.

ამის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ იმ ქვეყნის ქართველებმა იციან. ჭირსაც და წამალსაც ყველაზე უკეთ იმ ქვეყნად ხედავენ... ამის გამო იქ ქართველები გლოვას, ჭირს მისცემიან... აუტანელ ტანჯვაში არიან, რომ ყველაფერი იცი-

ან, ყველაფერს ხედავენ და ვერ გვემშველებიან.

მათ ტანჯვას ოდნავ თუ შევადარებ იმ დაბნულ დედის გულს, რომელსაც თვალწინ ბავში ეწვის, წყალი გვერდით უდგია და ცეცხლს ვერ უჭრობს, შეიღს ვერ ემშველება... ვერ ემშველება იმის გამო, რომ დედა აბია შეიღის მახლობლად გარდუვალობით.

იმ ქვეყნად ქართველებიც დაბნულ დედასავით გარდუვალ სიკვდილით მოქცეულნი არიან და ჩვენ მათი შეიღები მათ თვალწინ ვიწვით ცეცხლმოკიდებულ ბავშვისავით.

და აი მე მედი მათთან მივედი თუ არა, მეც ამ ცეცხლში ჩავარდი. მეც ისე, ის ცეცხლი მომეკიდა, რომლითაც თითოეული ქართველი იწოდა, იტანჯებოდა იმ ქვეყნად.

მეც დავინახე ამ ქვეყნად ქართველთა რა ღირსება და ეს ღირსებით მორჩებოდა... მე დავინახე ღირსება, წამალიც.

ვთქვა: ნეტა არ დამენახაო?

ო, არა... ქართველთა ღირსება ქართველი რაგორ-და გამოვკვლიე?! არა ვთქვა რაც ვნახე? მერე ერთ დედის - ქართველ ერის შეიღები რომ ვართ? მოყვარეს პირში უძრახილენ, მტერს ზურგს უკან“-ო.

მეც პირდაპირ პირში უნდა უთხრა დედა-ერს და ძმებს - ქართველებს. რა? — რაც ვნახე, ადამიანმა ძილის წინ არ იცის ძილში რა სიზმარს ნახავს და მეც სიკვდილთან ნევედი და ყოველივე ისე ვნახე, როგორც სიზმარი ნახოთ. აი რა რიგად მინახავს ქართველთა ღირსება, ქართველთა წამალი. მაგრამ ნახულს შეიძლება დააკლოს და მოუჩივროს კაცმა თავისით. ო, არა, ევირფასო ძმებო, ძილში კაცი სიზმარს ვერც მოუშატებს და ვერც დააკლებ თავისით. ძილში ადამიანის ძალღონეს აღემატება სიზ-

მარის ბუნების დარღვევა. და მეც ერის ცხოვრებისათვის გაღვიძებული ისე ვარ თქვენთან, როგორც კაცი ძილში ადგეს, განაგრძოს სიზმრების ნახვა.

ხედავთ რა ღვთაებრივ გარდუვალობით გიამბობთ ჩემ სახით ნათლის სინამდვილეს.

ვნახე, ქართველთა ღირსება... ღირსება ძირში ჩავხედე, ღირსების თავი უნდა დამენახა და რას ვხედავ, — ღმერთო ჩემო: ქართველი ქართველ სულებს. ქართველთა უთანამოებე იყო ღირსების ძირად, ღირსების უგებებად: ერთს მეორის საქმეც შურს, ფიქრიც, აზრიც. ერთი მეორეს სამარეს უთხრის ფიქრით. აზრით და მოქმედებითაც. ერთის გული მეორესათვის არ კვდება, თითქოდენ ერთსაც და მეორესაც ერთი, ქართველის გული არ კვდება. თითქოდენ თავ-თავიანთ გული აქვს და არა გული ქართველის ისე თავ-თავისკენ იწვევენ ერთი მეორის გასაწეწად.

ქართველი ქართველისათვის კი არა, თავის თავისათვისაც.. ქართველ აზრს კი არა, თავი აზრს ატარებს, თავის აზრს იცავს ქართველობითაც.. ქართულ სულს კი არა, თავის სულს.. ქართველი ქართველ საქმეს, აზრს, სულს კი არ წივრება, პირიქით, ქართველობას აწივრებს თავისთვის.. ქართველობითაც პირად, პარტიულ საქმეს აკეთებს.. არა ერთი, არა ორი — არამედ ერთიც, მეორეც, მესამეც და ასე ქართველობა, ქართველი ერთი ერთი მეორეში ნაწილდება.. ერთი მეორეში იწვევება პირად და პარტიულ საქმედად.

ქართველ ერს ამის გამო აღარც გული აქვს თავისი, აღარც სული.. აღარც სახე და სხეული.. ქართველ ერს ამის გამო აღარ რჩება ძალღონე თავის თავისათვის.

ქართველი პარტიას ჰქმნის არა

ერის ძალ-ღონედ, ერის გამოსაჩენად, არამედ თავისი თავის. ქართული პარტია ერის ძალღონედ კი არა, პირიქით, ერის ძალ-ღონე ჩნარდება პარტიის სახელს, პარტიის განდიდებას..

თქვენ რომ ქართველები თავისებურ ქვებად წარმოიდგინოთ, ასეთ ქვებისაგან სახლი ვერასოდეს ვერ აშენდება.

რად?

რადგან თითოეული ქვა სახლისათვის კი არა, არამედ სახლი ქვისათვის იქნებოდა: თითოეული ქვა სახლს ისე ააგებდა, რომ მისთვის უკეთესი ყოფილიყო და არა სახლისათვის, არ დააკვირდებოდა არც თავის თავს, არც თავის მოყვანილობას — იქნება თუ არა იმის იქ და ისე დადება.. იქნება თუ არა სახლის ისე აგება, როგორც მას უნდა.. იქნებ ქვას ისეთი მოყვანილობა არ აქვს, რომ კედელში იქ და ისე დაიდოს? იქნებ ფერი, ან შემაღვენილობა აქვს ისეთი, რომ სახლს დაამახინჯებს, დაანგრევს იქ და ისე დადება?

ამაზე არამც თუ ერთი, არც ერთი ქვა არ იფიქრებდა.. არც ერთი ქვა არ ისურვებდა თავისი-თავის დაბლა, ძირში დადებას.. არ ისურვებდა დადებას იქ, სადაც ყველა ქვებისათვის შესაბამისი არ იქნებოდა.. არ გაჩერდებოდა იქ, სადაც ყველაზე უკეთ არ გამოჩნდებოდა, ყველაზე ნაკლები ჯაფა არ ექნებოდა.

არა, ასეთი ქვა არ იქნებოდა და როცა გამოჩენილიყო კიდევ ქვები მას დასცილებდნენ, იტყოდნენ: „გიჟი არის“—ო.

ასეთა ქვები გააშენებენ სახლს? ვერასოდეს.. ასეთი ქვები თანხმობას ვერასოდეს ვერ შეჰქმნიან სახლის ასაგებად.

ეს ქვები ქართველები ვართ, ვაი რომ ქართველები.. და აკი სა-

ქართველოც მიტომ ვერ შენდება. მიტომ ვერ შენდება.

ძვირფასო ქართველო, სახლის ამგები ნამდვილი ქვები, რომ გამოაღვიძოთ, ქვებიც კი ეტყვიან ერთი მეორეს: „აქ მე ვიქნები, ჩემ ბუნებას უფრო შეეფერება“—ო.

ქვები იქ და ისე დალაგდებიან, როგორც სახლისათვის უკეთესი იქნება ფორმით, აზრით და ძალით. უძლურს ძლიერი შეიბრალებს, ძირში არ მოაქცევს.. ქვას ქვის ტანჯვა უფრო დასჯის ვინემ თავისი თავის: „თუ ტანჯვაა — უწინ მე ვიტანჯო“—ო... „ვიტანჯო მირჩევნია ვინემ ტანჯვას ვუყურო“—ო, იტყვიან ქვები.

ასე ტანჯვაში შეიჯიბრებიან...

ასე ქვა ქვისთვის თავს დასდებს.

ქვებში თუ ასეთ მაღალ შეგნებას ღვიძავს ქვათა ქვეყნის დასაცავად, შენ რა მოგივიდა, ქართველო?

შენ ქვეყანას დაცვა არ უნდა?

ქვები თუ ტანჯვაში ეცილებიან ერთი მეორეს, ჩვენ რატომ არ უნდა შევეცილოთ ერთმანეთს ქართველთა ტანჯვის გასაყოფად?

ქვები თუ თავის გამოსაჩენად კი არა, სახლის გამოსაჩენად დაგდებიან.. ქვებმა თუ თავ-თავიანთი ადგილი იციან სახლის დიდებისა და სიმტკიცისათვის, ჩვენ რატომ არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ ჩვენი ადგილი? ჩვენ რად ვერ უნდა დავლაგდეთ ერის დიდებისა და სიმტკიცისათვის?

ქვები თუ თანხმობით სახლს აგებენ, ჩვენ ჩვენი სახლი — საქართველო რად ვერ უნდა ავაგოთ?

ხალხში ქვების ფიქრი, ქვების დუმილი გამეფდა.. ხალხმა თავისი თავი ქვებს შეაძარა და საქართველო სახლს.

—ჰო, მე იმას ვამბობდი, რომ ქართველ ერის ჭირის ძირად, ფესვებად ერთი-მეორის ჭამა-თქო,

— განაგრძო მედიმ.

— ქართველს ქართველის შურს, არ აქვს შური სხვა ერის, სხვა ადამიანის.. ქართველი ქართველს სჭამს, არ აქვს სურვილი სხვა ერის, სხვა ადამიანის ჭამის. და ქართველი ერიც ქართველთა ურთიერთ ჭამას უნდება.

ეს მისი ძირის, ფესვების ჭია გულს უღრღნის, ასუსტებს.. ეს ძირის ჭია იწვევს მის მთელი სხეულის დაუძლეობას.. დაუძლეობელი სხეული კი ნიადაგი ხდება ათასნაირ სნეულობის, ათასგვარ ავადმყოფობის.

ათასგვარ ავადმყოფობასაც ებრძვის ქართველი მთელი სხეულით.. მთელი სხეულით ვარდება ტანჯვაში დღის, წლისა და საუკუნეების მანძილზე.. ილაჯი არ რჩება.. ძალა თვითონ აკლდება და არა ავადმყოფობას — რადგან ჭია ავადმყოფობას ასაზრდოებს, ამხედრებს.. თვითონ კლებულობს და არა ავადმყოფობა, რადგან ჭია ღრღნის, საზრდოს არ აწვდის.

ამის გამო გათამებული სნეულობა უფრო იძაბუნებს, უფრო ტკივილებს უძლიერებს.

თავის საარსებო ნიადაგიც თავის თავისთვის არ აქვს ქართველ ერს: ხედავ მის ნიადაგ სამშობლოში გველები შემოდიან.. ერთი ქართველი რომ მიდის გველის მოსაკლავად, მეორე გველს უდგება და გველი კი არა, უწინ ქართველი ქართველს სცემს.. მერე გველი მიდის ეხვევა, შხამს ასხამს, ისედაც შურიან ქართველთ უფრო ამწარებს ერთი მეორის საკმელოდ.

ხედავ მის ნიადაგ სამშობლოში მგლები შემოდიან.. ერთი ქართველი რომ მიდის მგლის მოსაკლავად, მეორე მგელს უდგება და უწინ მგელი კი არა, ქართველი ქართველს ცხემს.. მერე მგელი სჭამს, მოამის სისხლში ისვრება,

ცოფიანდება და ბოლოს მგელი ქართველს ქართველში ვერ არჩევს.. მგელი ყველა ქართველს სჭამს.

ამას ხედავენ იმ ქვეყნად ქართველები..

ამას ხედავს თამარ დედოფალიც და გულს უღონდება: „ჩემი სისხლი და ხორცი გველს მიუდგა, ჩემ სისხლს და ხორცს მგლებს აქმევენო.. ვაი სიმწარევე სად მომისწარიო,, ალმოთქვამს ხან და ხან ღონ-მიხილილი.

თამარ-დედოფალი ავადაა, შეწუხებული დღესაც წვეს ლოგინად. საქართველოს მწუხრის ზარი ღამქ-დღე რეკავს, მთელი ქართველობა ფეხზეა და დროდან-დროზე

— როცა თამარ-დედოფალი ძალიან ღონდება, ისინიც მის კართან გროვდებიან.. შინ შესვლის უფლება არვის არ აქვს, გარდა დავით მეფისა.. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ დავით - მეფე შევა. შეხედავს ავადმყოფს და ქართველებს ამბავს განოუტანს.

ერთ შეღონებას მეც შევესწარი. აზრისაგან მოცილებული ტანი-საგან სულით, გულით და გონებით დავით მეფეს შევყვები.. თამარ - დედოფალს თავს რუსთველი ადგა, აჭიმობდა.. ქეთევან წამეული და წმიდა ნინო უვლიდენ. „საქართველოს თავისუფლება მომიტანეთო,,.. დავით მეფე გამობრუნდა ხალხს ვადასცა: „წამლად საქართველოს თავისუფლებას გვთხოვს დედოფალიო“.. ხალხი შეირყა, შეშფოთდა: „ან დავიხოვნეთ, ან თავისუფლებით დავბრუნდეთო,, ამბობდენ და აქეთ; საქართველოსკენ ეშურებოდენ.. საქართველოს თავისუფლება აქედან უნდა წაეღოთ.. ბრუნდებოდენ ძმები ძმებს აღვიძებდენ; სთხოვდენ. წამლად საქართველოს თავისუფლებას.. ბრუნდებოდენ დედები



შვილებს ამხნეებდენ, ემუდარებოდენ წამლად საქართველოს თავისუფლებას.. ბრუნდებოდენ მეფეები, სარდლები, მხედრები და ეხვეწებოდენ ამ ქვეყნის ქართველეთს წამლად საქართველოს თავისუფლებას.. ბრუნდებოდა დიდიპატარა და არცხენდა, ჯავრობდა და ხან თვალ-ცრემლიანი სთხოვდა წამლად საქართველოს თავისუფლებას, მაგრამ თქვენ კი არ ეცემოდით.. ცოცხალს მიცვალბულის ხმა არ ესმის, რომ იმათი ხმა გაგეგონათ.. ქცოცხალი მიცვალბულის სახეს ვერ ხედავს, რომ იმათი თხოვნა აგესრულებინათ, ცრემლი მოგეხოცათ. ეს იციან იმათაც და ერთი საცოდობაა: ზოგი მათგანი ხის სახეს იღებს — ეგებ როგორმე მოვიხმო, ვავაგებინო.. ზოგან: ყვავილებისა და ბალახების სახეში შედიან ჩვენთან სალაპარაკოდ.. ზოგი მდინარედაა ჩვენთან მოსასვლელად, ზოგიც ქვა და კლდეა ჩვენზე ფიქიოსათვის.. ყველას უნდა გაგვაძინოს, რამენაირად გაგვაგებინოს იმ ქვეყნის მწუხარება.. იქნებ ესლაც ქართველები ჩვენთან არიან..

მედიმ შეხედა მუხას.

— იქნებ ამ მუხის ფოთლებში ესლაც ქართველებია. იმ ყვავილებში და ბალახებში ჩვენი დაძმანი. იქნებ ესლაც ქვეებით დედები არიან ჩვენ მახლობლად დარდიან-დაღონეულნი.. იქნებ ესლაც დიდიპატარა ხელს გვიწვდის, გვემუდარება, წამლად გვთხოვს საქართველოს თავისუფლებას?

ხალხმა მიიხედ-მოიხედა.

ხეებს, ქვებსა და ბალახებში ნათესაობა დაინახა მწუხარებაში და დაემზო აზრით, ფიქრით, მთელი სხეულით ფიცი დასდო საქართველოს თავისუფლებისათვის მათ დასაშვიდებლად.. ხალხის ბუნებაც ალაპარაკდა მათ გასაგონად.

მეც ვბრუნდებოდი, მოვდიოდი თქვენთან მათთან ერთად... ყველგან, საქართველოს ყველა ქვის საგანხით ქართველს ნახავდით.. ქართველები იყვნენ საქართველოს ხეები, ყვავილები, მდინარეები და მთები.. მხოლოდ მთების სახეს უფრო მეფეები, სარდლები იღებდენ და მდინარეებისა მწერლები.. ხალხი ფუტკრების სახითაც დაფორინავდა ყვავილიდან ყვავილზე.. ფრინველების ხმითა და სახითაც ქართველთა დარდს გამოსცემდა.. ხალხი ზღვის სახესაც იღებდა მღელვარებისა და რისხვის წამოსაყენებლად.. მაგრამ ამაოდ: ამ ქვეყნად ქართველებს ძალიან ღრმად ეძინათ და იმათი არაფერი ესმოდათ.. ამის გამო გამწარებულთა შორის იქ იწყებოდა სჯა, ბაასი და წყრომა ამ ქვეყნის ქართველებზე..

ერთ ასეთ უნუგეშო ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ქართველები ჩვეულებისამებრ მცხეთაში შეიკრიბენ სამსჯავროდ, საბაასოდ..

საკვირველი რამ სამსჯავროა იმ ქვეყნად: ლოცვაც დგას, წარმოდგენასაც ჰგავს, კამათიც არის გამართული .ამ ეროვნულ სასამართლოს მუდამ დავით მეფე მეთაურობს.. ლოცვას კი ამბობს ილიაც, აკაკიც, გიორგი მთაწმინდელიც, გურამიშვილიც, ვაჟაც, ბარათაშვილიც და სხვა მრავალი მამულიშვილი.

მე რომ შევესწარი ლოცვა—კამათს ილიას პირით ასე ამოიკენესა ქართველმა:

— ჩვენო ტფილისო, ქართველთ არ დაუგდინხარ.. ჩვენო სიმტკიცევ, დიდების კერავ ქართველთ არ დაუგდინხარ.. მო სვეტისცხოველო, წმიდა ვარძიის ღვთისმშობელო, ამის მოწმედ ხომ თქვენა ხართ.. ტფილისო, ქართველები სიცოცხლეს მუდამ შენ სიმტკიცეს აძლევდენ, ქართველთ არ დაუგდინხარ..

დმანისის ველი გეტყვის ამას... მოდმანისო, დაამშვიდე ტფილისი, უთხარ „ქართველთ არ დაუგდინხარ“.

დმანისის კმირები მივიდენ ტფილისის წინ მუხლი მოიყარეს და უთხარეს: ჩვენ ხმლებისათვის მტერი გვილოკბია „შენ გენაცვალეთ“.

— ჩვენო ტფილისო, ქართველი შეიძლება გავიდეს, მთები საშველად მოიყვანოს და შენ კი არ დაგადებს, მტერს არ მიგცემს არასოდეს.. ერეკლე მეფე მოწმეა ამის. მო მეფე დაამშვიდე შენი ტფილისი, უთხარ „ქართველთ არ დაუგდინხარ“.

მეფე მივიდა ტფილისის წინ ხმალი დადო და უთხარ: „ეს ჩემი ხმალია და გულად მუდამ შენ მქოვდი“.

— ტფილისო, ჩვენო დიდებაე, ქართველთ არ დაუგდინხარ.. ქართველი წამებით თავს შემოგწირავს, მოვა შენ დანგრეულ კედლებში ქვების მაგიერ თავის ტანჯვას, თავის გულს დადებს და შინ არ დაგადებს.. კოტე აფხაზი გეტყვის ამას.. მო წამებულო კოტე უთხარ ტფილისს „ქართველთ არ დაუგდინხარ“.

მივიდა, აფხაზმა ტფილისის გულში მიართვა: „შენს იქით გული რად მინდა თავი ჩემი გენაცვალოს“, თქვა და კედლები დაუკოცა.

— დედაე წმიდაო, სამშობლოე ჩვენო (მიმართა ილიამ ქართველთ მიწაწყალს) ქართველთ არ დაუგდინხარ.. ქართველი გაოხრებულსაც გვივლიდა, ღონეს ვიბრუნებდა, წაჭკეულს მუხლსა და გონებას გაძლევდა.. ამას ამბობს შენი აღმაშენებელი.. მო მეფეთა მეფეე, დაამშვიდე სამშობლო შენი, უთხარ „ქართველთ არ დაუგდინხარ“ ურჩარ ნუგეში.

მეფე დაემხო ქართველთ დედა

მწას და ჩასძახა: უშენოდ არც დღე არც ღამე არა ვყოფილვართ.

— სამშობლოე ჩვენო! ქართველთ არ დაუგდინხარ.. შენ დიდებისა და სახელისათვის ქართველი ლტოლვილად ფეხშიშველი დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაზე.. შენ დიდებისა და სახელისათვის ლტოლვილი ქართველი ლოცვად გოდებდა ამბობდა შენზე.. ამას გიორგი მთაწმინდელი და დამწვარი გურამიშვილი გეტყვის.. მო მთაწმინდელი, მო გურამიშვილო.. დაამშვიდე დედა საქართველო, უთხარით „ქართველთ არ დაუგდინხარ“.

წინ ფეხშიშველი მთაწმინდელი და ცრემლიანი გურამიშვილი გამოვიდენ, მუხლი მოიყარეს ქართულ მიწის წინაშე.

ქართველთა მიწაე! (ილიამ მიწა აკო) ქართველთ არ დაუგდინხარ.. შენ ჩვენი ფიცი, ჩვენი ზიარება ხარ.. მო ქაქუც დაამშვიდე ჩვენი მშობელი მიწა, უთხარ „ქართველთ არ დაუგდინხარ“. ქაქუცა თავის შეფიცულებით წინ წამოდგა, ზიარებად ქართული მიწა შეჭამა და სთქვა: „ბიჭებო საქართველოსთვის დაეიხოცნეთო“.

დედაე სამშობლოე! ქართველთ არ დაუგდინხარ.. ქართველი იჭრებოდა შენ მოსარჩენად.. ამას ეს ჭრილობა გეტყვის..

ილიამ ჭრილობა უჩვენა სამშობლო მიწას და ისეე აკენესდა: — ტფილისო, საქართველოე, ქართველთ არ დაუგდინხარ.. ამან დაგადლო, აი ამან..

რალაც უკულმართობას ქართველის სახე მიელო იქ და მლოცველმაც იმას მიმართა: — შენ ერთი ქვაე ველარ ნახე საქართველოში? ერთი ქვაე აღარ ეგდო, რომ სიმტკიცე მიგელო მისგან ტფილისის დასაცავად? ერთი მდინარეე არ იყო საქართველოში მტრის დასახრობად? არც ერთი მთაც არ იდგა

დაბრკოლების ასამაღლებლად? ტყეშიც ვერ შეხვედ შევლის, ხეებიდან მხნეობის მისაღებად? საქართველოში ერთი იხეც ვერ ნახე, თავის საფარად: მერე ერთი ცვარი სიცოცხლე, არ გქონდა, რომ სამშობლოათუას შენც მიგეცა? ერთი ცვარი ჯული არ გქონდა, რომ სამშობლო ენა გაგეგო, მისთვის შენც დაჭირლიყავ?

რას ეზიარე ქართულს?

არაფერს.

იქნებ ქვეები არ არიან საქართველოში? არ არიან მთები, ციხენი?

იქნებ წყალნი არ სდიან, ტყენი არ შრიალბენ ჩვენდა ნუგეშად?

ო, როგორ არა.. როგორ არა..

იქნებ ქვეებმა არ მივიღეს, არ მოგცეს ძალა სიმტკიცის?

ქვეებო მოდიო აქ. — ილიამ მოწოდებ ქვეები მოიხმო, — თქვენ სახით ჩვენ არ ვიყავით, თქვენ სახით ჩვენ არ ველოდით, რომ მოსულიყო ძალა მიგვეცა ტფილისის, ქართველთა მიწაწყლის დაცვის?

და მოვიდა?

არა, ჩვენ არც კი მოგვხედა.

იქნებ მდინარეებმა უარი გითხრეს მტრის დახრობაზე?

ო, მდინარენო მოდიო აქ, წყალნი საქართველოს მიწაწყლის.. თქვენ სახით ჩვენ არ ვფოთავდით, ჩვენ არ ვღელავდით.. თქვენ სახით ჩვენ არ გვწყუროდა მტრისა დახრობა?

და მოვიდა, მოგვხედა ამან?

არა, არც მოუხედა.

იქნებ მთები უარს ზეუბნებოდენ, მთები არ იცავდენ ქართველთ მიწაწყალს?

ო, მთანო, მთანო.. თქვენ სახით ჩვენ არ ვიდექით ქართველთა ასამაღლებლად.. თქვენ სახით აკი ველოდით მტრის უკუ გდებას..

და მოვიდა, მოხედა მალლობს, ბოას, ქართველს?

არა, არც მოუხედა.

იქნებ ტყეებმა არ შეგიშვეს, არ შეგიფერეს?

ტყენო, მოდიო აქ!

ხეების სახით ჩვენ არ ვიყავით, ძენ შრიალში ქართულ ვაშას ჩვენ არ ვახვევდით?

და მოვიდა, ვაშა მიიღო?

არა, არც მოუხედა.

იქნებ ციხეებმა კარი არ გაგიღეს, უარი გითხრეს ქართველთ დაცვაზე?

ციხენო, მოდიო გულ-მკერდნო.. თქვენ სახითაც აკი ვიდევით, აკი ვაფრთხილებდით: „დადგე აქ, ლკან არ დაიხიო“, მაგრამ არც მოჩხედე, ჩვენი ხმა არ გაიგონე, არა..

ხალხო, ჩვენ ყველაფრის სახე ნივილეთ, ყველაგან ხმას ვიღებდით, ველოდით და მან არ გაიგონა, არც კი მოგვხედა, არა.. უკან მოუბრუნებლად დაგდო ყველაფერი.. ყველაფრისაგან პირი იბრუნა, ყველაფერს ზურგი აქცია..

ეს უკუღმართობაა.

არა ტფილისო, ქართველთა მიწაგ-სამშობლოვ, ამ უკუღმართობამ დაგაგდო, ქართველთ არ დაუგდინხარ, ქართველთ არ დაუგდინხარ.

დაათავა ლოცვად თქმული ბრალდება იმ ქვეყნად ილიამ.

„დამცველი, დამცველი...“ ხალხ-დამცველს თხოულობდა. დამცველად კაცთ-მოყვარე გამოვიდა:

— არა, ბატონებო, ამ უკუღმართობის სახე ახლა მიიღო, თორემ ნდვილად დიდათ ტანჯული, დიდათ დევნილია ის, ვისაც თქვენასჯით..

არა სამშობლოსათვის!

გაიელვა ერის-მოყვარის უკუ-თქმამ.

— გამარჯვებაცა და დამარცხებაც მოსალოდნელია, — განაგრძო კაცთ-მოყვარემ, — რა ვუყოთ რომ მარცხი შეემთხვა..

— არა სამშობლოსათვის!



თულ სინათლის,, გამოსატანად იმართებოდა.

და ამ სინათლეს ვედარც ერთი მათგანი თავის პირად, პარტიულ ზრახვებს ვერ აფარებდა.. იქ ვერ იტყოდით: „აგერ ეროვნულ სინათლეს მოეფარაო“.

არა, იქ საერთო გულით, საერთო სინათლის ქვეშ, საერთო ზრახვანი მიმდინარეობდნენ საერთო სინარულისათვის. „აი ჩემი მამა-პაპა, ჩემი წინაპრები ესენი არიან.. აი ეროვნული საბჭო ეს არის-თქო“, გავიფიქრე სასიცოცხლო სანახაობით გახარებულმა და მერე მათ მეთაურს, უშიშარს დავით მეფეს შევხედე, რომ მოულოდნელად მის მოსახმობად მოვიდნენ: „თამარ დედოფალი შელონდაო“..

დავით მეფე გაეშურა.. სასამართლო შეჩერდა.. გარედ გამოსული ქართველები გუნდ-გუნდათ მოეფინენ ამ ქვეყნის ავ-კარგზე სამუსაიფოდ, საყურებლად.. მეც ვიყავ მაყურებელი.. შეუწყვეტელ წარმოდგენაზე გგონია თავი ისე ერთ-თავად მიმდინარეობს ამ ქვეყნის ცხოვრება ყველაფრით, ყველაფრით: ხედავ კაცს ლაპარაკობს და ისაც ჩანს რად, რა არა თქვა.. ან კაცი თავის მაგიერ სხვას რად ალაპარაკებს, ამა-იმას ვინ რად ეფარება და ასე ყველაფერი თვალწინ მიმდინარეობს გარე და შინა-არსითაც.

აგერ შუღლითა და მტრებით სავსე სამშობლოც.. ცრემლის მორევში ფეხი უდგია, გულში ცეცხლი უდევს, ტირილი სიმღერად გაუხდია.. „აი ეს სიმწარე, ფიქრობ იქიდან, საემარისი არაა — რომ ქართველობამ გამოიღვიძოს? სიკვდილის წინ შიში ბუნებას თავისთავად ამოძრავებს და ქართველის ბუნება რად არ ინძრევა, ქართველის ბუნებას რად სძინავს?

იქნებ არც იცით რა არის ერის

ძილი, რა არის ერის გამოღვიძება? არა?

აგერ, ამ ადამიანს უყურეთ!

ამ კაცის ფეხი გველს ებრძვის და მისივე ხელი კი ფეხზე გველს აგდებს.. ამ კაცის ხელი ფეხს კი არ, გველს ეშველება.

ამ კაცის გული გველს ერიდება და მისივე თვალი კი გველს მიუძღვის... ამ კაცის თვალი გულს კი არა, გველს ეშველება..

ეს კაცი გველს მოერევა?

ვერასოდეს.

ამ კაცის ძალას სძინავს, კაცში ნაწილების წინააღმდეგობას გამოუღვიძნია..

ეს კაცი კი ქართველი ერია და ამ კაცის ნაწილები ქართველები ვართ.

გაიგე ეხლა რა არის ერის ძილი?

ერს სძინავს მაშინ, როცა ერის ნაწილებში წინააღმდეგობა იღვიძებს.. ნაწილების წინააღმდეგობის მოსპობით ერს ეღვიძება. ამ საზარელ ძილში ხედავ იქიდან ქართველ ერს და მისი მწუხარება თვალსა გწვავს.. შენც მასთან ერთად შედიხარ უსაზღვრო ტანჯვაში.. ამ ტანჯვაში ვიყავ მეც, რომ ვადა გამითავდა იქ ყოფნის: გულით, გონებითა და სლით ტანს დაუბრუნდი, სიკვდილთან მივედი.

მე თქვენ ვერ გითხარით თუ სიკვდილი როგორ მომექცა: დამინახა რა დარცხვენა, დაცინვა დამიწყო: „აბა შენ რაღა მოსაკდომი იყავიო“ მითხრა სიკვდილმა და პირი დააღო, კბილებიდან ცეცხლი გაყარა.. ვიფიქრე: „შემჭამს ეს საშინელი-თქო“, მაგრამ, პირიქით, ხელი მკრა „აი შე უგემუროო“. მე გამეღვიძა.. ის კი როგორც ცეცხლი ქვას, ისე მივიღია გარს და კბილს კი ვერ მაკარებდა.. სიკვდილი ვერ მჭამდა და არ ვიცოდი სიკვდილისათვის რად ვიყავი უგემური, უკმელი...

ბოლოს დამტოვა და დამაბარა: „შენთან მოვლენ შენიანები და შენიანებთან წახვალ სულით, გულით, გონებითო“. მე დავრჩი, თვითონ საღდაც წავიდა. მერე, როგორც ვითხარით, სიკვდილის შემდეგ დედა მოვიდა და დედას გავყევი ჩვენთან.. დღეებს იქ ვატარებდი, ქართველების ჭირვარამს ვიყოფდი, ღამ-ღამობით კი დასასვენებლად ტანს ვუბრუნებდობდი, „ნეტა არ დავბრუნებულყავიო“, ვთქვი და თითოეული თქვენი თავანიც ასე იტყოდა.. დღე რომ ქართველების მწუხარებას, ღამე აღამიანის ვაებას ვუყურებდი, ვისმენდი.. მაგრამ რას იზამთ, როცა წესია — მიცვალებული ტანს უნდა დაუბრუნდეს დასასვენებლად. ჩემი ტანი კი სიკვდილთან იყო და არა სამუდამო საცხოვრებელ-საწამებელში.. საერთოდ აღამიანი ჯერ სიკვდილთანაა კარგა ხანს და მერე სიკვდილის მეოხებით მიდის ან სამუდამო საცხოვრებელში ან სამუდამო საწამებელში ანუ, ეგრედ წოდებულ, ჯოჯოხეთ-სამოთხეში. მე, როგორც ვთქვი, არც ერთ მათგანში არ ვიყავ და დავბრუნდი იქ, საღდაც აღამიანები სიკვდილს ხვდებიან..

ვზივარ ჩემ ტანში და ვხედავ სიკვდილთან სამშობლოსათვის ტანჯული აღამიანი მოდის..

„მო, მო, კაი ვინმეც მოდიხარ“, გაჯავრებული უძახის სიკვდილი.

მოვიდა კაცი გაძვალტყავებული, წამებული თავის სამშობლოსათვის და ჭრილობებისაგან დამკნარი სახით სიკვდილს შეხედა: „ვაი რომ მიყურებ კიდევ შე უბედურო, სული აღარ გიდგია და შენი რაღა გჭამოო“, დასცინოდა კაცს სიკვდილი, რომელსაც კბილის მოსაკიდი ხორციც არ ჰქონდა.. მერე აენთო, საშინლად გაცხარდა: „შენ შენი ჯანმრთელობა,

შენი სული და ხორცი სამშობლოს ერს შესწირე და ჩემზე ოდნავადაც არ იფიქრე.. შენ შენი დღე, შენი სიცოცხლე ერს გადაეცი, რომ ერს შენი დღეც ჰქონოდა, შენი სიცოცხლითაც ეცხოვრა და მე? მე რა დამიტოვე? შენი ფიქრისა და აზრისც ერს დაუთმე, რომ შენი აზრი და ფიქრისც დარჩენოდა.. შენ დედა ავადმყოფიც არ დაინდე, მამა მოხუცებული, მთელი ნათესაობა ერს, სამშობლოს ანაცვალიე.. შენ ყველაფერი — სიამოვნებაც, ახალგაზრდობაც, სიხარულიც, შვილიც ერს შესწირე, რომ ერმა ისიამოვნოს, სამშობლომ გაიხაროს.. მე? მე კი დამივიწყე.. სიკვდილზე სულ არ იფიქრე. ყველაფერი, ყველაფერი ერს, სამშობლოს დაუტოვე და ჩემთან გაძვალტყავებული მოხვედი, აი შე უბედურო, შენც და ვთქვა: მოკვდიო.. მოკვდი კი არა, შენ ცოცხლობ ისეკ შენ ხალხში, ისეკ შენ ქვეყანაში.. შე უჭმელო, შე უსარგებლო“, უთხრა და ხელიც ჰკრა, სიკვდილმა კბილი ვერ დააკარა..

სამშობლოსათვის ტანჯულ აღამიანს სიკვდილი ვერ სჭამდა..

მე დავინახე ეს და, მართალი ვითხრათ, გამეხარდა.. გამეხარდა რომ დავინახე ერის ძალა, ერის სიცოცხლე: თურმე ტანჯვა აღამიანის ერისათვის, სამშობლოსათვის.. ფიქრი და აზრი სამშობლოსათვის სიკვდილის ძალა კი არა, ერის ძალა, ერის სიცოცხლე ყოფილა..

მაშინ მიხვდი თუ მცირე-რიცხოვან ქართველ ერს ურიცხვე მტრებში რა აცოცხლებდა.. მიხვდი რუ ქართველს ვაუკაცობა რატომ არ აკლდა.

სიკვდილის ხმა.. ავერ სიკვდილთან კომუნისტი მოდის.. კომუნისტის სიკვდილი სიხარულს მიეცა: „მო, მო, რა ხანია მოგელო-

დიო“ უთხრა და მასთან მუსაიფს გაჰყვა: ბოლოს რომ მოხვედრი.. შენ ადრე მოსაკვდომო.. აი, შენისთანები უნდა კვდებოდნენ დღეში ასი, •თასი, რომ სიკვდილმაც თქვას მეც ვარ და მეც ვსაზრდობო“.. მერწმუნე, მე როგორც მოკეთის, ღვიძლი ნათესავის, ისე გამეხარდა შენი ნახვა.. იქნებ არც იცი სიკვდილისათვის შენ რა დიდი სიკეთე გაგიწევია, სიკვდილისათვის რა ღვაწლი მიგიძღვის.. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე თითო-თითოდ გაგახსენებ, ჩემო საყვარელო საქმელო: აგერ ეს შენი არაა, — უთხრა სიკვდილმა და მკლავში კბილები ჩაავლო, — მკლავი რომ გაუკარი კაცს სამშობლოს სიყვარულისათვის, ეს ისაა..

სიკვდილი კაცის მკლავს სჭამდა. კომუნისტიც სიკვდილის მკლავებში კიოდა, იკლავებოდა.

— აგერ ეს შენი არაა, — უთხრა და კომუნისტს ყელში წაავლო, — რამდენ კაცსაც სული შეუგუბე, სუნთქვა წაართვი — ეს ისაა..

კომუნისტმა სიკვდილის ხელში ხრიალი დაიწყო, სულს ვერ ითქვაშდა.

— ჰაა.. ნუ ხრიალებ, შენი არაა, სხვებს რომ ახჩობდი — ეს ისაა..

ჩასძახოდა სიკვდილი ყურებში. მერე თავის ხრაზე გადავიდა: — თავლისავით ტკბილი ხარ შე ღმერთო, — ეუბნებოდა სიკვდილი და კომუნისტი კი ტკივილებით მიწასა გლეჯდა.

— ჰაა.. ეს თავი შენი არაა.. სხვებს რომ თავისუფლებას ართმევდი — ეს ისაა..

ბოლოს გულში ვაუყარა სიკვდილმა საშინელი კბილები..

— ჰაა.. ნუ მიძალღები ძამია, რამდენი გულიც რომ დასწვი და დაანელე — ეს ისააო, — ეუბნებოდა დაცინვით და კომუნისტი კი საშინელ ტკივილებით გმინავდა,

არა-ადამიანურად იტანჯებოდა.. დავინახე ეს და კიდევ ვთქვი: „კომუნისტის არამც თუ სიცოცხლე, სიკვდილიც ვაი-ვაგლახი ყოფილათქო“.

მაგრამ კომუნისტი კიდევ არაფერია ქვეყნის მოღალატესთან.. მოღალატეს ათი-ათასჯერ უფრო მეტად სტანჯავს, ათი-ათასჯერ უფრო ტკბილად სჭამს სიკვდილი. სხვები ჩემ ყურადღებას აღარ იპყრობდენ.. მე მიწოდდა სიკვდილთან მენახა მხოლოდ მართალი ადამიანი..

მართალი ადამიანი ტანჯული არა სამშობლოსათვის, არა ერისათვის.. მართალი ადამიანი ტანჯული არა კაცობრიობისათვის, არამედ მართალი ადამიანი თავისუფალი ერის, თავისუფალ ქვეყნის, თავისუფალ პირობებში ისე, როგორც მაგალითად, მცენარე რომ სხვა მცენარეებს ჰაერს, სინათლეს, საზრდოს არ ართმევს.. მცენარესავით ხომ არიან მართალი ადამიანებიც, რომლებიც თავის ძალღონით საზრდოსა და სიხარულისათვის ღმერთს მადლობას ეუბნევიან.. ხომ არიან ადამიანები, რომ მიეშველები — მოგეშველება, გეტყვის მადლობას სიკეთისათვის..

ხომ არიან ადამიანები, რომ თვითონ არ აქვსთ, არც სხვისა შურთ: ღმერთას მოცემულით კმაყოფილდებიან..

ხომ არიან ადამიანები, რომ არამც თუ კაცთან, არამედ ღმერთთანაც ძართლები არიან?

აი ასეთი მართალი, ღმერთის კმაყოფალი კაცი მიწოდდა სიკვდილთან მენახა.. ენატრობდი და თან ვამბობდი გულში:

„ღმერთო შეგცოდნე ასეთ ნატურისათვის თქო“..

ღმერთს იქნებ არ უნდოდა ასეთ კაცის სიკვდილი და მე რაზე ვთხოვდი?

მაგრამ ღმერთისათვის ცხადი იყო, რომ მე კაცის სიკვდილი კი არა, იმ ქვეყნის ჭეშმარიტება მინდოდა..

ამ ფიქრებში რომ ვარ. გავიხედე სიკვდილთან მართალი კაცი მოდის არა ერთი, ორი, არამედ მრავალი. „აბა ამ უსამართლო დროს მართალი კაცი მოკვდება და არა უსამართლო“ ვთქვი.. ჩემი წადილი აღარაფერ შუაში არ იყო.. კაცის სიკვდილში მე ნატერითაც წილი არ მედო..

აგერ მართალი ადამიანი სიკვდილთან დადგა.. სიკვდილს ჯერ გაეხარა. მხიარულად შეხვდა: „რა მშვენიერი სული, სხეული არისო“, თქვა და პირი წაიღო საჭმელად, მაგრამ კაცის მაგიერ სიკვდილმა დაიკვილა: „ფუ! რა უგემური, რა მწარეაო“ და გადააგდო გვერდზე ისე, როგორც ჩვენ შემთხვევით შხამიან ნაყოფს გავკბნით, ვადავაგდებთ.

მერე ისევ ისე მიუბრუნდა, შეჭხარა სინათლეს, მშვენიერებას და კბილი კი ვერ დააკარა..

სიკვდილს სიმართლე არ ეჭმებოდა.

მაშინ მიხვდით, რომ სიმართლე სიკვდილისთვისაც უკვდავია.

თურმე სიკვდილი სჭამს არა ადამიანს, არამედ ადამიანში იმას, რაც არაა მისი..

სიკვდილი იღებს ადამიანიდან თავის საჭმელად იმას, რაც სულსა და სხეულს სხვისი თავისათვის მიუთვისებია.. რაც სხვისი გაუფუჭებია.. სიკვდილი იმას არა სჭამს, რაც ადამიანისათვის ღმერთს მიუცია: „მე ღმერთის საჭმეში არ ვერევი.. ღმერთმა მე გამაჩინა ქვეყნის გასასწორებლად“ ამბობს სიკვდილი. „მე რა თუ ვინმე წვალობს... რაც იმისი არ არის, მე იმას ვართმევ და ეს წამება კი არა. სიმართლე არისო“ — აი როგორ უყურებ

და უსამართლო ადამიანის ტანჯვას სიკვდილი. „ო, მაღალო სიკვდილო, ვინატრე მოკვალეებულმა, ნეტა შენი სამართალი ცოცხლები-სათვისაც იყოს!“

— მეც მაგისათვის წასული ვიყავი.. ადევ, — წამომაყენა ჩემთან დაბრუნებულ ჩემმა სიკვდილმა.

— წადი, ქვეყანა მოგელოდება (იმ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი) ვინც რა დაგაბაროს, მოგცეს გამოართვი და ისევ ჩემთან მოდი...

ტანით წასვლის უფლება მომცა მიცვალეებულს და სიკვდილიც აღარ იყო ჩემზე ისე გაჯავრებული.. მივიღვივარ და თან ვფიქრობ „ღმერთო ჩემო, რა მოხდა, ან რა უნდა მოხდეს ისეთი“.. წინა გრძნობა მაწვალებდა, წინა გრძნობა წინ ხალისით მიწვედა.. აგერ პირველად კიდევ დედა გაღმომიღდა, მხოლოდ იყო გახარებული და ისე ზემხვდა, როგორც სკოლიდან დაბრუნებულს მხედებოდა ხოლმე. „მოდი შევილო, ქვეყანა სიხარულშია შენ მოგელოდებაო“. მივყე მე დედას და გზა-და-გზა აი რა მითხრა: — შენი სიკვდილიც, ჩემო მედი, შენსავით კერპი, გაუტყეხელი ყოფილა.. სიმართლისათვის თავი დასდო, ქვეყანა ააღაპარა

— არ მესმის, რას ამბობ დედა-ჩემო..

მანამ მივიდეთ გეტყვი ყველაფერს, ყველაფერს გაიგებ.. პო, შენ არ იცი სიკვდილმა რაზე დაგტოვა.. შენ სიკვდილმა სხვა მართალერისათვის, სამშობლოსათვის ტამჯულ ადამიანების სიკვდილები შეკრიბა.. პირობად ფიცი დასდეს ღმერთთან მისულაცვენ ცოცხალთათვის სიმართლის დასაცავად. ღმერთთან შენი სიკვდილი მიუძღვა.. ღმერთს კი ქვეყანისათვის თავისუფლება მიეცა და თვითონ ფიქრებში იყო წასული.. სიკვდილის მისვლა რომ მოახსენეს, ფიქრები-



დან დაბრუნდა და მიიღო თავის მორჩილი.

— ღმერთო შენ უფლებას ვითხოვ, — შესთხოვა შენმა სიკვდილმა. — ვისთვის? — შეეკითხა ღმერთი. — დედამიწაზე ცოცხალთათვისაც. — მერე იცით რა მოგელოთ? — ვიცით უფალო.. ადამიანებმა თქვენ უფლებით რომ იცხოვრონ, ჩვენ საქმეც, საზრდოც აღარ გვექნება.. დაე, ოღონდაც თქვენ სურვილს ასრულებდეს ყოველი სუნთქვა და ჩვენც ნუ ვიქნებით.. ასეთ სიცოცხლეს თქვენი ნებით არ-ყოფნა-სიკვდილი გვირჩევნია.. მაგრამ არა, ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენი ნებით თითულ ადამიანში არის შალა სისუსტისა და ძალა ცდუნებისაც.. ვიცით რომ ბევრი ადამიანი თავის სისუსტეს ვერ ერევა, ცდება და თავისივე თავით თავის-თავისთვის თქვენ უფლებას არღვევს.. ჩვენ ამ უწყსოების გასწორება, გვეყოფა საზრდოთ, საჭმელად.. ახლა კი სულ სხვაა, უფალო ჩემო თქვენ უფლების ნაცვლად ადამიანი ადამიანზე თავის უფლებას ავრცელებს. თქვენ მაგიერ ადამიანი ადამიანს ამოქმედებს, აფიქრებს, ალაპარაკებს. ადამიანს თავის მოქმედება აღარ აქვს რომ მოქმედებაში შეცდეს.. თავისი აზრი არ აქვს, რომ აზრით დაუშვას შეცდომა.. ადამიანს თავისი აღარც ფიქრი. აღარც სიტყვა აქვს, რომ ან ცუდი რამ ფიქროს, ან თქვას რამ ურიგო.. დამონებული ტანჯულია არა ერთი, ორი, არაჰედ უთვალავი ერთის მიერ და მერე იცით ვის მიერ? ო, ღმერთო ჩემო, აბა, თქვენ თვითონ მიხედეთ, — ღმერთი შენ სიკვდილმა ჯოჯოხეთზე მიახედა, — ამ ჯოჯოხეთში სადღაა ეშმაკი? ეშმაკები სულ დედამიწაზე დაბრუნდნენ, ადამიანების სახეში შევიდნენ და ადამიანებსვე დაერივნენ:

სდევნიან, აწამებენ.. კაცს ცოცხალ-ცოცხალ სტანჯავს. ჯოჯოხეთი დედამიწაზე გადაიტანეს და მართალ ხალხს სულ ჩვენსკენ ერეკებიან. მართალ კაცის ხორცი კი ჩვენ არ გვექმევა. მართალ კაცს გასარჩევი რაღა აქვს, უფალო? — შესჩივლა შენმა სიკვდილმა.

ღმერთმაც მიიხედა ჯოჯოხეთისაკენ და მართლაც ავერ-ივერ კუდიან ქაჯები ძლივს დაინახა.. ისინიც ალბად დარაჯად თუ დაეტოვებინათ. მერე დედამიწასაც გადახედა და მწარედ დაღონებულმა სთქვა: „კეთილი, დაბრუნე უკან მედი ჩემ უფლებებისათვისო“.. გამარჯვებული სიკვდილი მობრუნდა, მოვიდა მიცვალებულ ადამიანებს, მიცვალებულ ქვებს, ცხოველებს, ხეებს ყველაფერი გვიამბო, გვითხრა: „ღმერთის ნებით მედი ბრუნდება დედამიწაზე და ვისაც რა აზრი, ფიქრი.. ვისაც რა ჭმუნვა-დარდი ვაქვსო, გაატანეთო“, ავერ ჩვენებიც ამისათვის მოგელოდებიან, — დაათავა დედამ საუბარი და გზაც გათავდა — ქართველებთან მივსულიყავით.

ო, ნეტა თქვენ თვალსაც ენახათ ის სანახაობა, ნეტა თქვენ გულსაც ეგრძნოთ ის სიხარული! ქართველები მართლ არ იყვენ.. მთელ კავკასიელთ თავი მოეყარათ ჩოხებში, შეიარაღებულნი.. მიდამო ტყე-მხედრობას ეკავა, ქალიცა და ვაჟიც ჩოხაში, იარაღში იჯდა.. დავინახე რა ჩოხა, იარაღი და კავკასიელთ მხედრობა სიხარულის ცრემლი მომადგა, ვთქვი: „ალბად ფიქრად, აზრად ეს უნდა გამატანონ. ფიქრი და აზრი ამათი იარაღი და ერთობა არის-თქო“. ჩავიარე მრისხანე მხედართ რიგები. „ო, მესმის.. ამ მრისხანებით შევმოსავ თქვენ ძმებს“, ვეუბნოდი თითულ მათგანს თვალებით. მთავარსარდლები სალამას მაძლევდნენ,

გეგონებოდან ბრძოლის წინა აღ-  
 ლუმი არის. აჰ, მთავრობას მი-  
 უახლოვდი. მთავრები იქ ჩოხებ-  
 ში არ იყვენ: ქულაჯა ეცვა თითე-  
 ულ მათგანს. იქ „მინისტრი“, „ვე-  
 ზირი“ და „კომისარი“ წოდება ხმა-  
 რებაში არ იყო. მთავრობის წევრს  
 ქართულად „მთავარ“ ეწოდებო-  
 და. იქ იყო სასულიერო საქმეთა  
 მთავარი, მხედართ მთავარი, სა-  
 გარეო საქმეთა მთავარი, შინაგან  
 საქმეთა მთავარი, განათლების  
 მთავარი და ასე. მთავრების თავ-  
 ში იდგა პირველი ანუ მთავართ-  
 მთავარი. მთავართ-მთავარზე ზე-  
 ვით კი მეფე — თამარ-დედოფალი.  
 მისვლისას თამარ მეფემ ხელნი  
 აღაპყრო და სთქვა: „მადლობა  
 ღმერთო შენ წილხდომილის გახ-  
 სენებისათვის“. მერე ვარდის-  
 გრად გაიღმა და მიახრა: „ღვთა-  
 ებრიც უფლებისათვა იბრძოლეთ,  
 ძალა ღმერთს სთხოვეთ და მფარ-  
 ველიც ღმერთია.. აგერ ეს..“ სამ-  
 ფერ დროშად გამოხკეული ფიჭვი  
 და გრძობა გადმოძევა დედამიწა-  
 ზე გასაშლელად დროშად კავკა-  
 სიელთა.. მე მოწიწებით გამოვარ-  
 თვი და ვავშორდი. საერთაშორი-  
 სო კრება მელიდა.. მიველ, ვაჟა-  
 ფშაველა მიმიძღვა. ისევ დიდე-  
 ბული სანახაობო და სიხარული  
 ვიხილე: ყველას უხაროდა რომ  
 ღმერთის ნებით კაცი ბრძნდებო-  
 და დედამიწაზე.. ყველას უნდოდა  
 თავის აზრისა და ფიჭვის დაბრუ-  
 ნება თავისიანებისათვის. იქ, საერ-  
 თაშორისო ყრილობაზე უკლებ-  
 ლივ ყველა ერის საუკეთესო ყვა-  
 ვილებს თავი მოეყარათ (ქართ-  
 ველთა სახელი რუსთაველს ჰქონ-  
 და).. მათ თავში ჟანა დ-არკმა იჯ-  
 და. მეც მივედ მასთან თავდაზრით.  
 „ერთა საზღვარი მიწა არ არის.  
 არც ქვა და არც წყალი.. ერთა სა-  
 ზღვარი მით უფრო არ არის თოფ-  
 იარაღი და ციხე-სიმაგრე. ყველა

ამათ არაფერი ძალა არ აქვსთ. ერ-  
 თა საზღვარია ღვთაებრივი, სიმაღ-  
 თლე — საზღვარი ძლიერი, სამუ-  
 დამოდ დაუძლეველი.. აი ეს საზ-  
 ღვარი ჩადეთ ერთა-შორის და ერ-  
 თმანეთა კი არა, ამ ღვთაებრივ სა-  
 ზღვარს-სიმაღლეს შეურიგდით,,  
 მითხრა ჟანა დ-არკმა და ერთა აზ-  
 რი, ფიჭვი გამოხვეული გადმოძ-  
 ცა. მეც გამოვართვი და გამოვედ.  
 გზა და გზა გადმომიდგენ ცხოვე-  
 ლები, ფრინველები, მცენარეები,  
 კვები, ვარსკვლავები თავ-თავიანთ  
 ფიჭვი, აზრი გამომიხვიეს, გადმო-  
 მცეს, გამომაცილეს. ნაცვლად  
 გულთბილი თანაგრძობა მივეცი.  
 მოვედ სიკვდილთან.

„მიცვალებული რომ ცოცხალი  
 გახდეს სხვა გზა არ არის, თუ არა  
 სიზმრით გამოძახება დედამიწაზე  
 დარჩენილ ნათესავების მიწის გა-  
 დასაცილებლად. წადი, შენც შენ  
 ცოლშვილს ძილში გამოეცხადე...  
 დაე მათ განახონ საცლავში გაჭირ-  
 ვებულა, გაიგონონ შენი ხმა: „მი-  
 ნველეთ, მიწა გადამატლეთ“,  
 მითხრა სიკვდილმა ბრძანების კი-  
 ლოთი. მეც ისევ გავშორდი ჩემს  
 ტანს სულით, გულით და გონე-  
 ბით.. მიცვალებულის გზით ცოც-  
 ხლებთან მოვედი. ღამე იყო და  
 ცოლსაცა და შვილსაც ეძინათ...  
 ორივეს სულს ჩავეხვიე იმ აზრით,  
 რომ სიზმარში ორივეს ვენახე ისე,  
 როგორც მე მინდოდა. მე მათ სუ-  
 ლში გაჭირვებული, საფლავში შვე-  
 ლას ვითხოვდი და ისინიც მე გაჭი-  
 რვებულს საფლავში მხედავდენ..  
 მე მათ სულში ბავშვისა და დედის  
 სახეს ვღებდი გამოღვიძებულს  
 და ისინიც სიზმარში ბავშსა და  
 დედას ხედავდენ.. მე მათ სულში  
 ბავშვისა და დედის ხელით ბარ-ნი-  
 ჩაბს ვღებდი, კარს ვღებდი, სასა-  
 ფლაოსაკენ მივდიოდი და ისინიც  
 ამას ხედავდენ.. მე მათ სულში მუ-  
 დამ მათვე სახეს ვღებდი, მათივე

ხმით ვლაპარაკობდი და სიზმარშიც თავიანთ-თავს ვრძნობდენ... გრძნობდენ როგორ ამომიყვანეს საფლავიდან, როგორ გადავეხვიე.. და გაეხარდათ: ჯერ შვილს გამოეღვიძა და მერე ცოლს.. მე ისევ იმათთან ვიყავ. შვილმა უკვე ცხადათ ტირილი დაიწყო.. დედას გაუკვირდა: დედამ რა იცოდა, რომ შვილმაც იგივე სიზმარი ნახა.. წამოდგა, წამოაყენა.. შვილი ბარ-ნიჩაბისაკენ წავიდა და ამბობდა: „მამა“, „მამა“, „შეშინებულსავით... დედამ ჯერ შიში იგრძნო — მისი სიზმარი მართლდებოდა.. შვილი ახლა ცხადათ იწვედა დედას, კარებს უღებდა.. ღმერთის მოციქულად მალებული ბავში დედას გაუძღვა.. დედაშიც წინაგრძობამ გაიღვიძა, გასამხნეებლად. კარში მთვარე იდგა და ღამე ვარსკვლავებით ნახევრად დღეს ჰგავდა.... არვინ არ იყო.. მხოლოდ მათ გვერდით ორ ჩრდილს ეღვიძა, ჩრდილს თავიანთ-თავის თანამოწმედ და თანამგზავრადაც. საფლავთან მივიდნენ.. დედა დაემხო მიწას და ჩამომძახა: „მე-დი-ი-ი“...

„სია-მა-ა-ა“... გავეც პასუხი.

სიამას თითქოდენ დაცარდნილი გული ბარით უნდა აელო, ისე ეძგერა ნიჩაბს მიწის კადასაცილებლად.. მეც უკვე მართლა მიჭირდა: სიკვდილს მივეტოვებინე გაუფრთხილებლად.. მიცვალებულის ალა რაფერი არ მქონდა, ცოცხალი კაცი საფლავში ვიდევა, სული მეხუთებოდა.

„მიშველეთ, მიშველეთ“. ვიძახდი.. ისე ვიტანჯებოდი მართლა, ნამდვილად — როგორც სიზმარში მე მათ ვეჩვენე.. გარედან პასუხად ბარისა და ნიჩაბის ხმა მესმოდა... მესმოდა სუსტი ბავშიც როგორ ეხმარებოდა დედას გაჭირვებაში.. მე კი ჰაერი აღარ მყოფნიდა, ვიხიობოდი, რომ კუბოს

ფიცარი გაინძრა.. წამოვდეგ, ცოლ შვილს გადავეხვიე და ხელი-ხელ ჩაკიდებული სახლში დავბრუნდი.

ინლო ინასარი

ზაფხული, 1932 წ.

წმ. ეომენის კუბუხი (სენაზე).

აფრანგეთი